პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი. № 101 (12613) | კვირა, 28 აპრილი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

გუშინ თბილისში მუშაობა დაამთავრა საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ.

სესიამ მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება „საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ“ და ერთსულოვნად დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება.

სესიამ ერთხმად აირჩია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და დაამტკიცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა.

დეკუტატი ხალხის რჩეული და მსახურია. მაშ, არ დავზოგოთ ჩვენი ცოდნა და ენერგია ახალ-ახალი წარმატებებისათვის ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენი სამშობლოს სადიდებლად!

საქართველოს სსრ უმაღლესი სესიამ დაამთავრა მუშაობა

27 აპრილს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **რ. რ. დვალის** თავმჯდომარეობით გაიხსნა საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის საბოლოო სხდომა.

სხდომამ განაგრძო განხილვა საკითხისა, თუ როგორ ხორციელდება საქართველოს სსრ-ში საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონი. სესიაზე გამოსულებმა თქვეს, რომ სკოლის ამოცანაა აღზარდოს ყოველმხრივ განვითარებული და განათლებული ადამიანები, ჩაუნერგოს ბავშვებს შრომის სიყვარული და პატივისცემა. საბჭოთა სკოლამ, რომელიც სახალხო განათლების გარდაქმნის კანონს ახორციელებს, უკვე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

კამათში მონაწილეობდნენ: განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ლ. ი. მაღლაფერიძე,** დეპუტატები — **თ. ი. ჯაფარიძე** (პისარევის ოლქი, ქ. თბილისი), **ი. ს. ბერიტაშვილი** (საბურთალოს ოლქი, ქ. თბილისი), **უ. ა. კაზარიანი** (ბოგდანოვკის ოლქი, ახალქალაქის რაიონი), საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. გ. შამაცაშვილი,** დეპუტატები — **გ. დ. ყორღანაშვილი** (ბაზალეთის ოლქი, დუშეთის რაიონი), **ი. მ. საფაროვი** (ქვეშის ოლქი, ბოლნისის რაიონი).

კამაო შეწყდა.

კამათის დამთავრების შემდეგ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის დეპუტატ **თ. ვ. ლაშქარაშვილის** საბოლოო სიტყვა.

სესიამ მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება „საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ“.

სესია შეუდგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებათა დამტკიცებას. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა **ზ. ა. კვაჭაძემ.**

სესიამ ერთსულოვნად დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებანი, რომლებიც მან სესიათა შორის მიიღო.

ამის შემდეგ უმაღლესმა საბჭომ განიხილა დღის წესრიგის შემდეგი საკითხი — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **დ. გ. სტურუას.**

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს დავალებით მას სესიის განსახილველად შეაქვს წინადადება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობის შესახებ.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 34-ე მუხლის საფუძველზე უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი არჩეულ უნდა იქნეს შემდეგი შემადგენლობით: პრეზიდიუმის თავმჯდომარე, პრეზიდიუმის თავმჯდომარის ორი მოადგილე, პრეზიდიუმის მდივანი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 13 წევრი.

შემდეგ ამხ. **დ. გ. სტურუამ** სესიის განსახილველად გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრების კანდიდატურები. უმაღლესმა საბჭომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთსულოვნად აირჩია დეპუტატი **გიორგი სამსონის-ძე ძოწენიძე** (მელიქიშვილის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებად უმაღლესმა საბჭომ აირჩია დეპუტატები **ბ. ვ. შინკუბა** (ტყიბულის საარჩევნო ოლქი, აფხაზეთის ასსრ), **რ. მ. კომახიძე** (ქობულეთის საარჩევნო ოლქი, აჭარის ასსრ), პრეზიდიუმის მდივნად უმაღლესმა საბჭომ აირჩია დეპუტატი **ზ. ა. კვაჭაძე** (ქვალითის საარჩევნო ოლქი, ზესტაფონის რაიონი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად ერთხმად აირჩიეს: **გ. გ. აბაშიძე** — დეპუტატი აჭარის ასსრ ქ. ბათუმის ენგელსის საარჩევნო ოლქისაგან, **თ. გ. ბადურაშვილი** — დეპუტატი თელავის რაიონის ნაფარეულის საარჩევნო ოლქისაგან, **ც. ლ. გელაშვილი** — დეპუტატი ზესტაფონის რაიონის ძიოლის საარჩევნო ოლქისაგან, **ვ. ზ. თოხაძე** — დეპუტატი მახარაძის რაიონის შემოქმედის საარჩევნო ოლქისაგან, **მ. ვ. ლუგოვცევი** — დეპუტატი ქ. თბილისის მარქსის საარჩევნო ოლქისაგან, **ვ. ა. მეკვანაძე** — დეპუტატი ქალაქ თბილისის ენგელსის საარჩევნო ოლქისაგან, **ი. გ. რთველიაშვილი** — დეპუტატი გორის რაიონის ხიდისთავის საარჩევნო ოლქისაგან, **ს. კ. ჩხარტიშვილი** — დეპუტატი ქ. თბილისის შაუმიანის საარჩევნო ოლქისაგან, **უ. ფ. ცქვიტინიძე** — დეპუტატი ქ. ქუთაისის წერეთლის საარჩევნო ოლქისაგან, **ა. ვ. ძამაშვილი** — დეპუტატი ქ. რუსთავის ლენინის საარჩევნო ოლქისაგან, **გ. ვ. წერეთელი** — დეპუტატი ბოლნისის რაიონის გომარეთის საარჩევნო ოლქისაგან, **ლ. მ. ჭეირანაშვილი** — დეპუტატი ქ. თბილისის ლოტკინის საარჩევნო ოლქისაგან, **კ. კ. ჯიოევი** — დეპუტატი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის რაიონის ზნაურის საარჩევნო ოლქისაგან.

ამის შემდეგ უმაღლესმა საბჭომ დაიწყო განხილვა საკითხისა საქართველოს სსრ მთავრობის — რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შექმნის შესახებ.

დეპუტატმა **გ. დ. ჯავახიშვილმა** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დავალების შესაბამისად სესიის განსახილველად შეიტანა წინადადება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობის შესახებ, რომელიც განიხილა უხუცესთა საბჭომ და მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დამტკიცებულია **გ. დ. ჯავახიშვილი,** თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — **გ. ი. ჩოგოვაძე,** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად — სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრად **ზ. ბ. გელდიაშვილი,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ი. კუპავა, ა. მ. ლაბახუა, ვ. მ. სირაძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ — **ე. მ. ჯაფარიძე,** საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარედ — საქართველოს სსრ მინისტრად — **ნ. გ. გომელაური,** საქართველოს სსრ განათლების მინისტრად — **თ. ვ. ლაშქარაშვილი,** საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად — **მ. ბ. ღვინჯილია,** საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრად — **პ. ი. ქავთარაძე,** საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრად — **ვ. ა. პაატაშვილი,** საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად — **თ. პ. ბუაჩიძე,** საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად — **გ. მ. ქართველიშვილი,** საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრად — **თ. ნ. დავითაშვილი,** საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად — **ა. ა. გიგაშვილი,** საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრად — **ო. ა. ქავთარაძე,** საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად — **მ. ე. თოფურიძე,** საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრად — **ბ. ა. ჩხეიძე,** საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრად — **გ. ს. ქობულია,** საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად — **ლ. ა. საყვარელიძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — საქართველოს სსრ მინისტრად — **ბ. ვ. ლორთქიფანიძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — **მ. თ. ჩიხლაძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მიყიდვის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანების რემონტის ორგანიზაციისა და გამოყენების რესპუბლიკური გაერთიანების — „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარედ — საქართველოს სსრ მინისტრად — **ი. მ. ხოხლოვი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — **კ. კ. გარდაფხაძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერულ-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — საქართველოს სსრ მინისტრად — **გ. შ. მიქელაძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ — **ა. ნ. ინაური,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — **ნ. ე. ჭახრაკია,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსად — **გ. დ. ყორღანაშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსად — **გ. ვ. რობიტაშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსად — საქართველოს სსრ მინისტრად — **დ. ნ. ჩხეიძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — საქართველოს სსრ მინისტრად — **დ. ვ. კეშელავა,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — საქართველოს სსრ მინისტრად — **ს. ს. ლორთქიფანიძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ — საქართველოს სსრ მინისტრად — **ი. ს. მიქელაძე,** საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — საქართველოს სსრ მინისტრად — **დ. გ. მამაცაშვილი,** საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ — საქართველოს სსრ მინისტრად — **გ. ა. ჯაბუა.**

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარენი თანამდებობის მიხედვით: აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **მ. გ. ჩიქოვანი** და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. მ. დავითაძე.**

ამით საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ დაამთავრა მუშაობა. (საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი



გ. ს. ძოწენიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ბ. ვ. შინკუბა,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.



რ. მ. კომახიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ზ. ა. კვაჭაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი.

გ. გ. აბაშიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

თ. გ. ბადურაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ც. ლ. გელაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ვ. ზ. თოხაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

მ. ვ. ლუგოვცევი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.



ვ. პ. მეკვანაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.



ი. ბ. რთველიაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ს. კ. ჩხარტიშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

ღირსშესანიშნავ დროს შეიკრიბა მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირი.

ჩვენი საყვარელი სამშობლოს უკიდეგანო სივრცეებზე ჩქეფს მუშაობა, წარმატებით ბრრცელდება კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო. ჭეშმარიტად რევოლუციური გაქანებით მიმდინარეობს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. სწრაფად ვითარდება სოციალისტური მრეწველობა და განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრია. მტკიცედ მიდის წინ სოფლის მეურნეობა, იზრდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოება. დიდდება სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება, უდიდესი მასშტაბებით წარმოებს საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებების მშენებლობა.

ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომი ზრდის ახალი ჰორიზონტები დასახეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა და მათ საფუძველზე განხორციელებულმა სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნამ.

საბჭოთა ადამიანები დიდი და გულწრფელი მადლიერების გრძნობით არიან გამსჭვალული თავიანთი მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, მისი საბრძოლო შტაბის — ცენტრალური კომიტეტისადმი, თქვენდამი, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, იმისათვის, რომ მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებთ საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ლენინურ კურსს, რომლის შესანიშნავი ნაყოფი ხორცს ისხამს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განუხრელი აღმავლობით. მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებით. ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლით.

ჩვენ ვამაყობთ დიადი საქმეებით, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება კომუნისტების სახელოვანი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, და ბედნიერი ვართ, რომ ამ საქმეებში საგრძნობი წვლილი მიუძღვით კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მონაწილეებს.

დევიზით „ვისწავლოთ, ვიმუშაოთ და ვიცხოვროთ კომუნისტურად“ წარმოშობილი სახალხო პატრიოტული მოძრაობის განვითარების შედეგები, რომლებიც თათბირზე შეჯამდეთ, ნათლად და დამაჯერებლად მოწმობენ, თუ რა მხურვალედ, სულითა და გულით მიიღო საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის მოწოდება — თავდადებით ვიშრომოთ კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში ახლა ჩვენი ქვეყნის 23 მილიონზე მეტი მოწინავე მშრომელი ათეულ ათასობით კოლექტივი მონაწილეობს. მუშებთან, კოლმეურნეებთან ერთად შეჯიბრებაში ჩაებნენ ინჟინრები, ტექნიკოსები, მეცნიერები, ექიმები, აგრონომები, მასწავლებლები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მუშაკები. წარმოიშვა და წარმატებით მოქმედებს საზოგადოებრივ საწყისებზე მშრომელთა ათასობით სხვადასხვა შემოქმედებითი კოლექტივი, სადაც სულ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები ნებაყოფლობით, ისე რომ სულაც არ ფიქრობენ გასამრჯელოზე, მუშაობენ წარმოების სრულყოფისათვის, შრომობენ საზოგადოების საკეთილდღეოდ.

კომუნისტური შრომისათვის შეჯიბრებაში იზრდება ახალი ადამიანი, ყალიბდება მისი შეგნება, იგი იმსჭვალება იმ აზრით, რომ საჭიროა ყველაფერში იხელმძღვანელოს კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის პრინციპებით. ჩვენი მოძრაობის მონაწილეთა რიგებში ფართოდ ვითარდება კოლექტივიზმი, მეგობრობა, ამხანაგური ურთიერთდახმარება, უაღრესად შეგნებული დამოკიდებულება შრომისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი.

პარტიამ მაღალი შეფასება მისცა კომუნისტური შრომის დამკვრელებისა და კოლექტივების — კომუნიზმისაკენ საბჭოთა ხალხის წინსვლის მედროშეების დიდ და სასახელო საქმეებს.

დიდი მადლიერებით მოვისმინეთ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, თქვენი სიტყვა სრულიად რუსეთის მრეწველობისა და მშენებლობის მუშაკთა თათბირზე და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეებისადმი. პარტიის გულმხურვალე მოწოდება, რომ მოვიპოვოთ ახალი შრომითი გამარჯვებანი, განვახორციელოთ ახალი სასახელო საქმეები კომუნიზმის გამარჯვებისათვის, გულის სიღრმემდე ჩაგვწვდა.

პარტიის მამობრივ ზრუნვას მშრომელი ადამიანებისათვის, ჩვენი მოძრაობის განვითარებისათვის, იმით ვუპასუხებთ, რომ გავაძლიერებთ ბრძოლას დიდი ლენინის ანდერძის უსწრაფესი განხორციელებისათვის, კიდევ უფრო ფართოდ გავშლით კომუნისტური შრომისათვის შეჯიბრებას. პირობას ვაძლევთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, თქვენ, ნიკიტა სერგის-ძევ, რომ მთელ ჩვენს ძალღონესა და ცოდნას მოვახმართ შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებას, კომუნისტური მშენებლობის ტემპების დაჩქარებას.

ჩვენ გვესმის, რომ მოვაახლოოთ ბედნიერი ხვალინდელი დღე — ეს, უწინარეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ ნაყოფიერად ვიშრომოთ დღეს. სწორედ ამიტომ ჩვენი ღონისძიებანი მოიმარდება შრომის უმაღლესი ნაყოფიერების მიღწევას, წარმოების რეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებას, პროდუქციის გამოშვების გადიდებას, მისი ხარისხის გაუმჯობესებასა და თვითღირებულების შემცირებას, ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვას, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ვიყოთ ახალი სამყაროს ღირსეული მშენებლენი — ეს ჩვენი მოძრაობის მონაწილეთა უმნიშვნელოვანესი მცნებაა. კიდევ უფრო დიდი შეუპოვრობით დავეუფლებით მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, ყოველი ღონისძიებით ავიმაღლებთ კულტურულ-ტექნიკურ დონეს, გავიმსჭვალებით საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნებით, შეურიგებლობით ფარსულის გადმონაშთებისადმი, პატიოსნებითა და ზნეობრივი სისპეტაკით, არ დავკმაყოფილდებით პირადი წარმატებებით და დავეხმარებით ამხანაგებს, გავუზიარებთ მათ ჩვენს ცოდნასა და შეძენილ გამოცდილებას, ჩავბამთ კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში.

ჩვენ წილად გვხვდა დიდი პატივი — მშობლიური ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით გავკაფოთ გზა კომუნიზმის მოელვარე მწვერვალებისაკენ. ჩვენი თავდადებული შრომით გავამართლებთ კომუნიზმის მშენებელთა გვარდიის საპატიო როლს, დიდი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით მივაღწევთ კომუნისტური შრომის გამარჯვებას.

დიე მტკიცდებოდეს და ჰყვაოდეს ჩვენი დიადი სამშობლო!

გაუმარჯოს ჩვენს სიამაყესა და დიდებას — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

მიიღო კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირმა.

ქ. მოსკოვი. 1963 წლის აპრილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ძოწენიძე გიორგი სამსონის-ძე — დეპუტატი ქალაქ თბილისის მელიქიშვილის საარჩევნო ოლქიდან.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები:

შინკუბა ბაგრატ ვასილის-ძე — დეპუტატი აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტამიშის საარჩევნო ოლქიდან.

კომახიძე რევაზ მურადის-ძე — დეპუტატი აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქობულეთის საარჩევნო ოლქიდან.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

კვაჭაძე ზინაიდა არსენის ასული — დეპუტატი ზესტაფონის რაიონის კვალითის საარჩევნო ოლქიდან.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები:

1. **აბაშიძე გრიგოლ გრიგოლის-ძე** — დეპუტატი ქალაქ ბათუმის ენგელსის საარჩევნო ოლქიდან.
2. **ბადურაშვილი თეიმურაზ გიორგის-ძე** — დეპუტატი თელავის რაიონის ნაფარეულის საარჩევნო ოლქიდან.
3. **გელაშვილი ციალა ლეონტის ასული** — დეპუტატი ზესტაფონის რაიონის ძირულის საარჩევნო ოლქიდან.
4. **თოხაძე ვახტანგ ზაქარიას-ძე** — დეპუტატი მახარაძის რაიონის შემოქმედის საარჩევნო ოლქიდან.
5. **ლუგოვცევი მიხეილ ვასილის-ძე** — დეპუტატი ქალაქ თბილისის მარქსის საარჩევნო ოლქიდან.
6. **მუავანაძე ვასილ პავლეს-ძე** — დეპუტატი ქალაქ თბილისის ენგელსის საარჩევნო ოლქიდან.
7. **რთველიაშვილი იოსებ გიორგის-ძე** — დეპუტატი გორის რაიონის ხიდისთავის საარჩევნო ოლქიდან.
8. **ჩხარტიშვილი სევერიან კაპიტონის-ძე** — დეპუტატი ქალაქ თბილისის შაუმიანის საარჩევნო ოლქიდან.
9. **ცქვიტინიძე უჩა ფოკას-ძე** — დეპუტატი ქალაქ ქუთაისის წერეთლის საარჩევნო ოლქიდან.
10. **ძამაშვილი არჩილ ვასილის-ძე** — დეპუტატი ქალაქ რუსთავის ლენინის საარჩევნო ოლქიდან.
11. **წერეთელი გიორგი ვასილის-ძე** — დეპუტატი ბოლნისის რაიონის გომარეთის საარჩევნო ოლქიდან.
12. **ჯეირანაშვილი ლამარა მიხეილის ასული** — დეპუტატი ქალაქ თბილისის ლოტკინის საარჩევნო ოლქიდან.
13. **ჯიოევი კოსტა კარგოს-ძე** — დეპუტატი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის საარჩევნო ოლქიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი, 1963 წლის 27 აპრილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

უ. ფ. ცქვიტინიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ა. ვ. ძამაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

გ. ვ. წერეთელი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ლ. მ. ჯეირანაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

კ. კ. ჯიოევი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები

რ. რ. დვალი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

ე. ა. სალუქვაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ხ. ს. გლაჟგა,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ლ. ო. ლეონიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ვ. კ. კულუმბეგოვი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ მთავრობის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

შეიქმნას საქართველოს სსრ მთავრობა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — **გიორგი ირაკლის-ძე ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრი — **ზაალ ბესარიონის-ძე გელდიაშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე — **მიტროფანე იონას-ძე კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — **არჩიბო მირონის-ძე ლაბახუა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — **ვიქტორია მოსეს ასული სირაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე — **ერმალო მინას-ძე ჯაფარიძე.**

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე — საქართველოს სსრ მინისტრი — **ნიკოლოზ გიორგის-ძე გომელაური.**

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი — **თამარ ვასილის ასული ლაშქარაშვილი.**

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი — **მიხეილ ბაგრატის-ძე ღვინჯილია.**

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი — **კონსტანტინე ივანეს-ძე ქავთარაძე.**

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრი — **ვახტანგ ალექსანდრეს-ძე პაატაშვილი.**

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი — **თენგიზ პავლეს-ძე ბუაჩიძე.**

საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი — **გაბრიელ მიხეილის-ძე ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი — **თეიმურაზ ნიკოლოზის-ძე დავითაშვილი.**

საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი — **არჩილ ალექსანდრეს-ძე გიგოშვილი.**

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი — **ოთარ ალექსანდრეს-ძე ქავთარაძე.**

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი — **მიხეილ ესტატეს-ძე თოფურიძე.**

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი — **ბეჟან ალექსანდრეს-ძე ჩხეიძე.**

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრი — **გიორგი სამსონის-ძე ქობულია.**

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — **ლევან აბოს-ძე საყვარელიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — საქართველოს სსრ მინისტრი — **ბეჟან ვლადიმერის-ძე ლორთქიფანიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — **მიხეილ თეოფანეს-ძე ჩიხლაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სასოფლო სამეურნეო ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გაყიდვის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანების რემონტის ორგანიზაციისა და გამოყენების საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე — საქართველოს სსრ მინისტრი — **ივანე მიხეილის-ძე ხოხლოვი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — **კარლო კონსტანტინეს-ძე გარდაფხაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე— საქართველოს სსრ მინისტრი — **გივი შალვას-ძე მიქელაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე — **ალექსი ნიკოლოზის-ძე ინაური.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — **ნიკოლოზ ერმილეს-ძე ჭახრაკია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი — **გიორგი დავითის-ძე ყორუიკაშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსი — **გიორგი ვლადიმერის-ძე რობიტაშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი — საქართველოს სსრ მინისტრი — **დავით ნესტორის-ძე ჩხეიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე — საქართველოს სსრ მინისტრი — **დავით ვიქტორის-ძე კეშელავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე — საქართველოს სსრ მინისტრი — **სიმონ სევერიანის-ძე ლორთქიფანიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს სსრ მინისტრი — **ირაკლი სოლომონის-ძე მიქელაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — საქართველოს სსრ მინისტრი — **დავით გიორგის-ძე მამაცაშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს სსრ მინისტრი — **გიორგი ანდრიას-ძე ჯაბუა.**

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შედიან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები:

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — **მიხეილ გერასიმეს-ძე ჩიქოვანი.**

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — **ლევან მიხეილის-ძე დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი, 1963 წლის 27 აპრილი.

კანონი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 19, 20, 21 და 22 მუხლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები:

1962 წლის 30 დეკემბრისა — „საქართველოს სსრ რაიონული დაქვემდებარების რიგი ქალაქის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიისათვის მიკუთვნებისა და ზოგიერთ სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ცვლილებათა შესახებ“;

1963 წლის 2 იანვრისა — „საქართველოს სსრ რაიონების გამსხვილების შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 19, 20, 21 და 22 მუხლებში და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 19.** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან, ამბროლაურის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, გარდაბნის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თეთრიწყაროს, თელავის, თიანეთის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მახარაძის, მესტიის, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, ყაზბეგის, ყვარლის, ცაგერის, ცხაკაიას, წყალტუბოს, ხაშურის სასოფლო და მარნეულის სამრეწველო რაიონებისაგან და ქალაქების: თბილისის, ბორჯომის, გორის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თელავის, კასპის, რუსთავის, საგარეჯოს, სამტრედიის, ტყიბულის, ფოთის, ქუთაისის, წყალტუბოსა და ჭიათურისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან.

მუხლი 20. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: გალის, გუდაუთის, ოჩამჩირის რაიონებისაგან და ქალაქების: სოხუმის, გაგრის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან.

მუხლი 21. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: ქედის, ჩაქვის, ხულოს რაიონებისაგან და ქალაქების: ბათუმისა და ქობულეთისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან.

მუხლი 22. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შედგება: ზნაურის, ლენინგორის, ჯავის რაიონებისაგან და ქალაქ ცხინვალისაგან, რომელიც რაიონების შემადგენლობაში არ შედის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი, 1963 წლის 27 აპრილი.

კანონი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50 და 56 მუხლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებანი:

1963 წლის 19 იანვრისა „საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს გაუქმების შესახებ“;

1963 წლის 25 აპრილისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ“;

1963 წლის 25 აპრილისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ“.

შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებები და დამატებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 და 56 მუხლებში.

50 მუხლის სიტყვების: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი“.

56 მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „ადგილობრივი მრეწველობისა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი, 1963 წლის 27 აპრილი.

კანონი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 102 მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 23 აპრილის გრძანებულება „საქართველოს სსრ სასოფლო რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებების შექმნისა და სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციების გაუქმების შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის 102 მუხლში სიტყვის „საერთოს“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „საორგანიზაციო“. ამოღებულ იქნას ამ მუხლიდან სიტყვები „სოფლის მეურნეობის რაიონულ ინსპექციას“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი, 1963 წლის 27 აპრილი.

შემოქმედებითი აღმაფრენა—სამშობლოს, კომუნიზმს!

კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეების მიმართვა

საბჭოთა კავშირის მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, ყველა მშრომელს

ძვირფასო ამხანაგებო!

მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის — პირველი მაისის წინ, შვიდწლედის მეხუთე გაზაფხულის დღეებში შევიკრიბეთ ჩვენ მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირზე. მთელი ჩვენი ფიქრები მომართულია იქით, რომ გავამრავლოთ მშრომელთა მეცადინეობა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, ახალი საზოგადოების ადამიანის აღზრდისათვის ბრძოლაში.

ჩვენ ვცხოვრობთ დიად საგმირო საქმეთა, საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ძალების აყვავების შესანიშნავ ხანაში, რომლებიც გამოწვეულია კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით. ბრძოლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიდებული პროგრამის განხორციელებისათვის საბჭოთა ადამიანების ყოველდღიური საქმე, მათი ცხოვრებისა და შთაგონებული შრომის მიზანი გახდა.

სოციალისტური ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული ახალი გამარჯვებებით აღინიშნა სკკპ XXII ყრილობის შემდეგ განვლილი დრო. წარმატებით სრულდება სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა. მარტო 1962 წელს ჩვენმა მრეწველობამ გამოუშვა მეტი პროდუქცია, ვიდრე ომამდელი ხუთწლედების მთელი წლების მანძილზე. მოკმედთა მწყობრში ჩადგა ასობით დიდი სამრეწველო საწარმო და ელექტროსადგური. უდიდესი გაქანება მიეცა საცხოვრებელი სახლების, სამკურნალო, საბავშვო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობას. განუხრელად ვითარდება სოციალისტური სოფლის მეურნეობა. 9 მილიარდი ფუთი მარცვლეული მოიყვანეს შარშან საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობების მინდვრის მშრომელებმა. მთელი მსოფლიო აღტაცებულია საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის მიღწევებით, ჩვენი სამშობლოს წარმატებებით კოსმოსის ათვისებაში.

ახლა, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე განხორციელდა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გარდაქმნა, კიდევ უფრო ფართო პერსპექტივა დაისახა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომი მძლავრი განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ ისეთ დროს, როცა კომუნისტების სახელოვანი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით დიადი სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები ხდება ჩვეს ქვეყანაში. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი სამშობლოს წარმატებებში კომუნიზმის გზაზე კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მონაწილეთა საგრძნობი წვლილია.

კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის ძალა და დიადი მომავალი ღრმად და დამაჯერებლად გვიჩვენა ამხანაგმა ნიკიტა სერგეისძე ხრუშჩოვმა თავის მკაფიო, ალმაფრთოვანებელ სიტყვაში სრულიად რუსეთის მრეწველობისა და მშენებლობის მუშაკთა თათბირის საბოლოო სხდომაზე, სადაც ჩვენც ვესწრებოდით, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილენი. კომუნიზმის მშენებელთა გვარდია უწოდა პარტიამ სახელოვანი პატრიოტული მოძრაობის მონაწილეებს. „კომუნისტური შრომის დამკვრელები და კოლექტივები, — თქვა ამხანაგმა ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვმა, — პარტიის დასაყრდენია ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში, ხატოვნად რომ ვთქვათ, კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის მედროშენი არიან“.

ახლა კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში მონაწილეობს 23 მილიონზე მეტი მეგობარი. კომუნისტური შრომის კოლექტივის მაღალი წოდებისათვის იბრძვის 37 ათასი საწარმო, მშენებლობა, საბჭოთა მეურნეობა. ეს წოდება უკვე მოიპოვეს 357 ათასი ბრიგადის, 38 ათასი საამქროს, უბნის, ფერმის, ორი ათასი საწარმოს კოლექტივებმა.

კომუნისტური შრომისათვის შეჯიბრებაში ებმებიან განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სავაჭრო და კომუნალური საწარმოების მუშაკები, საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეები.

მოძრაობის მოწინავენი ცხადყოფენ მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშებს, გამოდიან ძვირფას წამოწყებათა ინიციატორებად, აქტიურად იბრძვიან ტექნიკური პროგრესის ტემპების დასაჩქარებლად სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. საწარმოებში ახალი ძალით გაიშალა შეჯიბრება პროდუქციის საუკეთესო ხარისხისა და საიმედოობისათვის. მოძრაობის მონაწილეთა საბრძოლო დევიზი გახდა მოწოდება — „გავაკეთოთ დღეს მეტი — ეს იმას ნიშნავს, რომ ხვალ გვქონდეს მეტი!“.

საბჭოთა ადამიანების ურთიერთობაში მკვიდრდება კოლექტივიზმის ლენინური პრინციპი: „ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის“. კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მონაწილე არ სჯერდება მხოლოდ პირად წარმატებას, იგი იბრძვის იმისათვის, რომ ყველა კარგად მუშაობდეს, რომ არ იყვნენ ჩამორჩენილნი.

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბევრი ათასი მოწინავე მდის ძნელ უბნებზე, გამოდის როგორც ორგანიზატორი ამხანაგური ურთიერთდახმარებისა შრომაში. მათი ლოზუნგია — „დღეს ნოვატორის მიჯნა — ხვალ კოლექტივის მიჯნა“. ისინი ავრცელებენ ნოვატორთა გამოცდილებას, თავიანთ მუშაობის მეთოდებს ხდიან ფართო მასების კუთვნილებად და ამით აფართოებენ კომუნისტების აქტიურ მშენებელთა ფრონტს, ხელს უწყობენ ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის აღმავლობას.

წარმოშვა და ფართოდ ვითარდება სამეურნეო მშენებლობასა და წარმოების მართვაში მშრომელთა მონაწილეობის ახალი კომუნისტური ფორმები: საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ბიუროები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და ლაბორატორიები, ეკონომიური ანალიზის ჯგუფები, ტექნიკური ნორმირების ბიუროები, ტექნიკური პროგრესის სახალხო უნივერსიტეტები, კომუნისტური შრომის სკოლები, ნოვატორთა საბჭოები. ამ შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილე მუშები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები უანგაროდ ახმარენ თავიანთ შრომას, თავიანთ ცოდნას საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეს.

მაგრამ რა მნიშვნელოვანიც უნდა იყოს ჩვენი წარმატებანი, რა მკაფიოდაც უნდა ანათებდნენ ჩვენი შუქურები, რომლებიც კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მონაწილეებმა აანთეს, ჩვენ არ გვავიწყდება, რომ ჩვენს წინაშე, მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე, დასახულია კიდევ უფრო გრანდიოზული ამოცანები. აი ამიტომ ჩვენი თათბირის მთელი მუშაობა გამსჭვალული იყო ზრუნვით წარმოების ზრდისა და სრულყოფის დაუშრეტელი რეზერვების სრულად გამოყენებისათვის, შემდგომი სწრაფი წინსვლისათვის პარტიის მიერ ნაჩვენები გზით.

უდიდესი მადლობის გრძნობით შეეხვდით სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებას, რომელშიც მაღალი შეფასება ეძლევა კომუნისტური შრომისათვის მოძრაობას, როგორც შემოქმედებითს, აღმშენებლობითს ძალას კომუნიზმისათვის ბრძოლაში, განსაზღვრულია მისი შემდგომი განვითარების გზები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება ყოველ ჩვენგანს გვმატებს ახალ ძალასა და ენერგიას, გვინერგავს მაზენერგავს სურვილს ვიმუშაოთ უკეთ, უფრო ბეჯითად, უველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენი სამშობლო კიდევ უფრო ლამაზი, კიდევ უფრო მძლავრი და მდიდარი გახდეს.

მომავლის მზვერავთა მრავალმილიონიანი არმიის სახელით მოვუწოდებთ საბჭოთა კავშირის მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მოსამსახურეებს, მეცნიერებს, კულტურის მუშაკებს, ყველა მშრომელს: უფრო ფართოდ გავაჩაღოთ შეჯიბრება, მთელი ძალღონე დავდაოთ 1963 წლის, შვიდწლედის მეხუთე წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით წარმატებით შესრულებისათვის. მივაღწიოთ იმას, რომ სამრეწველო პროდუქციის მოცულობა შვიდწლედის წლებში გავადიდოთ არა 80 პროცენტით, როგორც ეს გათვალისწინებულია საკონტროლო ციფრებით, არამედ სულ ცოტა ერთიორად.

ჩვენმა საზღვარგარეთელმა მეგობრებმა შვიდწლედს უწოდეს შვიდსაფეხურიანი რაკეტა, რომელიც საბჭოთა ხალხმა გაუშვა კომუნიზმის ტრასაზე. ამ შესანიშნავი რაკეტის ოთხმა საფეხურმა კარგად იმუშავა. ვეცადოთ, რომ მეხუთე საფეხურმაც დაიჩქაროს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

საბჭოთა ადამიანებმა ბევრი შესანიშნავი საქმე უნდა განახორციელონ. ჩვენ ყველამ ერთად, ერთიანი ფრონტით უნდა ვიაროთ წინ, გავაერთიანოთ მეცადინეობა და განვამტკიცოთ ჭალაქინა და სოფლის ყველა მშრომელის ამხანაგური ურთიერთდახმარება და თანამშრომლობა, გამოვიჩინოთ მაღალი კომუნისტური შეგნებულობა, გრძნობა პირადი პასუხისმგებლობისა კომუნიზმის ბედისათვის.

ჩვენ მოგიწოდებთ აქტიური მონაწილეობა მიიღოთ ჩვენი ქვეყნის კომუნისტურ გარდაქმნაში, ახალი ადამიანის აღზრდაში. გადავაქციოთ კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა ეშშარიტად საყოველთაო-სახალხო მოძრაობად. დე ჩვენი მოძრაობის დევიზი: ვისწავლოთ, ვიმუშაოთ და ვიცხოვროთ კომუნისტურად საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების ყველა მშრომელის დევიზი გახდეს.

ძვირფასო ამხანაგებო!

კომუნიზმს ქმნის მილიონობით ადამიანის შრომა, ჩვენი შრომა. საჭიროა, რომ ყველა ჩვენგანმა, იქნება იგი მუშა თუ ინჟინერი, მეცნიერი თუ კოლმეურნე, აგრონომი თუ მასწავლებელი, დასახოს მიჯნები, რომლებსაც მიაღწევს შვიდწლედში. მთავარი ის არის, რომ უფრო სრულად და ღრმად გამოვავლინოთ სახალხო მეურნეობის რეზერვები, უკეთ გამოვიყენოთ ისინი კომუნისტური მშენებლობის ტემპის დაჩქარების ინტერესებისათვის.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ამბობს: „თვითეულ მუშას აქვს თავისი რეზერვი“. მოდით უფრო ფართოდ გავაღოთ ჩვენი რეზერვების საკუნძაები, ჩავაყენოთ ისინი სამშობლოს სამსახურში, უფრო სრულად გამოვიყენოთ ინისათვის, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შეავასრულოთ წარმოების გეგმები, გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი და შევამციროთ მისი თვითღირებულება.

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა განუხრელად და ყოველდღიურად გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება. ეს არის ერთადერთი სწორი, ლენინური გზა, რომ შევქმნათ სიუხვე და ავამაღლოთ ხალხის ცხოვრების დონე.

დე ყოველმა ჩვენგანმა შეიმუშაოს შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების პირადი ან კოლექტიური გეგმა. დე კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის ყოველი მონაწილე ანგარიშვალდებული გახდეს თავისი კოლექტივის წინაშე ი ამ მხრივ, თუ როგორ ახრულებს ვალდებულებებს, როგორ სრულყოფს თავის სამუშაო ადგილს, როგორ ეუფლება და იბრძვის ახალი ტექნიკის, მეცნიერების მიღწევათა დანერგვისათვის, როგორ ეხმარება ამხანაგებს შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევაში.

ჩვენ უნდა ვიყოთ უაირათიანი პატრონები, გავამრავლოთ საზოგადოებრივი კუთვნილება. ვიბრძოლოთ უაირათიანობისა და მომჭირნეობისათვის ყველაფერში. ჩვენი მოვალეობაა გონივრულად გამოვიყენოთ მასალები და ნედლეული, მოწყობილობა და ელექტროენერგია, ფულადი სახსრები და ტექნიკა, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ვზარდოთ და ვამრავლოთ ჩვენი სამშობლოს სიმდიდრენი.

მოწინავე გამოცდილების ყველგან გავრცელების საფუძველია სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის უდიდესი რეზერვები. ვინ, თუ არა ჩვენ, უნდა იყოს ნოვატორთა გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების აქტიური პროპაგანდისტები, ვუჩვენებდეთ ყოველივე ახლის წარმოებაში დანერგვის მაგალითს, ახლისა, რომელიც ყოველდღიურად, ყოველ საათს იბადება ჩვენს მჩქეფარე შემოქმედებითს ცხოვრებაში. თუ ჩვენში ჯერ კიდევ არიან ჩამორჩენილი საწარმოები, მშენებლობები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, აგრეთვე მუშები, კოლმეურნეები, რომლებიც ვერ ასრულებენ გამომუშავების ნორმებს, — ჩვენ ყველანი პასუხს ვაგებთ ამისათვის. ჩვენს გვერდით არ უნდა იყოს ჩამორჩენილნი. ამხანაგურად დავეხმაროთ მათ მხარი გაუწოროთ მოწინავეებს — აი ჩვენი წმიდათა-წმიდა მოვალეობა.

მოვუწოდებთ კომუნისტური შრომისათვის შეჯიბრების მონაწილეებს, ყველა მუშასა და კოლმეურნეს, ინჟინერსა და ტექნიკოსს, მეცნიერებს მუშაკს უფრო ფართოდ გავაშალოთ ბრძოლა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, მოკმედი მოწყობილობის მოდერნიზაციისათვის. მოძრაობის თვითეული მონაწილე სამაგალითო უნდა იყოს ამ საქმეში, აქტიურად უწყობდეს ხელს ახალი ტექნიკის დანერგვას, შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას. წარმოების ტექნიკურ სრულყოფაში ღირსეული წვლილი შეუძლიათ შეიტანონ და კიდევაც უნდა შეიტანონ გამომგონებლებმა და რაციონალიზატორებმ, სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებრიობამ.

სოციალისტური ეკონომიკის ზრდის ტემპების დაჩქარებაში ბევრი რამ დამოკიდებულია იმ უდიდესი სახსრების უკეთ გამოყენებაზე, რასაც სახელმწიფო ახმარს კაპიტალურ მშენებლობას. შვიდწლედის სამშენებელო პროგრამის განხორციელება საყოველთაო-სახალხო საქმეა. დაუცხრომლად ვიბრძოლეთ ახალ, საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების გეგმების უოუო შესრულებისათვის, დიდი ქიმიის, შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოთა, ელექტროსადგურების მშენებლობის, შვიდწლედის ყველა განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი მშენებლობის ვადამდე დამთავრებისათვის.

სოფლის მეურნეობის მშრომელებო, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მინერალური სასუქების, ქიმიზაციდან მწარმოებელი მრეწველობის დარგების მუშაკებო! თქვენ იმ დამკვრელურ ფრონტზე ხართ, რომ გადაიტრას უმნიშვნელოვანესი საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანა —მარცვლეულის შესყიდვა მიმდინარე წელს ავიყვანოთ 4.2-4,5 მილიარდ ფუთამდე. ჩვენი ქვეყნის ბევრ რაიონში ახლა პასუხსაგები პერიოდია — მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვა, რომლის დროზე და ხარისხიანად განხორციელებაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მარცვლეული და ტექნიკური კულტურების უხვი მოსავლისათვის, სასოფლებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის ბრძოლის წარმატება.

უსტლაბინსკელ მხვნელ-მოსეველთა მოწოდებით გავშლით ფართო შეჯიბრებას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სანიმუშოდ შესრულებისათვის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. დე მიმდინარე წელი მინდვრებსა და ფერმებში აღინიშნოს შრომითი გმირობის ახალი აღმავლობით, სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის თავდადებულ ბრძოლაში ყველა მშრომელის აქტიური მონაწილეობით.

დიდი და სპატიო საქმე აქვთ მინდობილი ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, კომუნალური მეურნეობის საწარმოთა, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მუშაკებს. ყურადღებითა და გულისხმიერად მოვეკიდოთ მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნებს, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებანი, გამოვიჩინოთ შემოქმედებითი ინიციატივა მოსახლეობის მომსახურების გაუჯობესებისაში — აი რას აყენებს პირველ პლანზე ცხოვრება ყოფაცხოვრების სამსახურის მუშაკთა შორის კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მონაწილეთა წინაშე.

კომუნისტური შრომა დიდად ნაყოფიერი შრომაა, რომელიც ემყარება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოეს მიღწევათა გამოყენებას. საჭიროა ყოველმა ჩვენგანმა შრომა დაუკავშიროს მეცნიერებას, განათლებას, შეიტანოს შემოქმედებითი საწყისი მუშაობაში.

ჩვენ მოგიწოდებთ მუშებს, კოლმეურნეებს, მოსამსახურეებს, ყველა ასაკის ადამიანებს უფრო ენერგიულად მონაწილეობა მიიღონ ხელი გაუწიონ, სისტემატურად სრულყონ თავიანთი კვალიფიკაცია, ცოდნის გაფართოებისათვის გამოიყენონ დასწრებული და დაუსწრებელი განათლების ფართო ქსელი.

ამხანაგო მეცნიერებო, მეცნიერო მუშაკებო, ინჟინერებო, ტექნიკოსებო, მასწავლებლებო და ექიმებო! უფრო ფართოდ ჩაებით კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მონაწილეთა რიგებში. თქვენი შემოქმედებითი საქმიანობა უდიდეს როლს ასრულებს ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური და ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებაში, მათი ჯანმრთელობის განმტკიცებაში, შეჯიბრების მონაწილეთა იდეურ აღზრდაში. ყოველი ღონისძიებით განამტკიცეთ კავშირი ცხოვრებასთან, წარმოებასთან.

ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებო! თქვენგან მოველით ნაწარმოებებს, რომლებიც ასახავენ კომუნიზმის მშენებელთა საგმირო საქმეების სიდიადესა და სილამაზეს, ახალი კომუნისტური ურთიერთობის გამარჯვებას ჩვენს ცხოვრებაში. გაამდიდრეთ საბჭოთა ადამიანი კულტურის განძეულობით. შექმენით ლიტერატურის, ფერწერის, მუსიკის, დრამატურგიის, კინოს ისეთი ნაწარმოებნი, რომლებიც საბჭოთა ადამიანებს მოუტანენ სიხარულს ცხოვრებაში, მხნეობას — შრომაში, ხელს შეუწყობენ საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობის აღზრდას.

თვალი არ უნდა ავარიდოთ იმას, რომ ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ გვხვდებიან მორალური მახინჯები, მუქთახორები, უქნარები, ადამიანები, რომლებიც არ უფროხილდებიან ახალი ცხოვრების მშენებელი მშრომელი ადამიანის სინდისსა და პატიოსნებას. ბრძოლა ძველის გადმონაშთების წინააღმდეგ, კერძომესაკუთრული ტენდენციების, წვრილბურჟუაზიული ეგოიზმის, უუაირათობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ, სოციალისტური საკუთრების დაცვების წინააღმდეგ კომუნისტური შრომისათვის შეჯიბრების ყველა მონაწილის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ყოველი ჩვენგანი უნდა იყოს აქტიური მონაწილე ჩვენს ქვეყანაში ფართოდ ორგანიზებული მასობრივი სახალხო კონტროლის, ყველაზე დემოკრატიული კონტროლისა, რომლის მსგავსი არ არის არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში. კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის ყოველი მონაწილის მოვალეობაა იდგეს საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის სადარაჯოზე, საზოგადოების დოვლათის დაცვის სადარაჯოზე.

კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მონაწილე უნდა იყოს მაღალი მორალური სისპეტაკისა და ზნეობრივი სრულყოფილობის ნიშნები, აქტიურად უწყობდეს ხელს კომუნისტური საერთო ცხოვრების ნორმების დამკვიდრებას ჩვენს ცხოვრებაში. დე კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის პრინციპები გახდეს თვითეულისა და ყველას ცხოვრების ნორმა.

თათბირზე ჩვენ გულახდილად ვილაპარაკეთ კომუნისტური შრომისათვის შეჯიბრებაში არსებული საკლავნებებზე. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და ყველა ეკონომიურ რაიონში სათანადოდ როდი ვითარდება ეს შეჯიბრება. ყოველთვის როდი ვიჩენთ ჯერონვან მომთხოვნელობას კოლექტივის საქმიანობის შეფასებაში მისთვის კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდების მინიჭების დროს. სამეურნეო ხელმძღვანელები და პროფკავშირული ორგანიზაციები ყველგან როდი უწევენ საკმაო დახმარებას შეჯიბრების მონაწილეებს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში. ეს ნაკლოვანებანი შეიძლება აღმოიფხვრას და უფრო სწრაფად უნდა მოვუღოთ მათ ბოლო.

კომუნისტური შრომის დამკვრელის, კოლექტივის საპატიო წოდების მოპოვება შეჯიბრების ყოველი მონაწილის მისწრაფება და სანუკვარი სურვილია. საპატიო წოდების მინიჭება შრომითი მამაცობის, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობის აღიარებაა. მაგრამ ამ წოდების მიღება თვითმიზანი როდია. იმათ მხრივ, ვინც უკვე მოიპოვა ეს წოდება, შეცდომა იქნებოდა დაკმაყოფილებულიყო მიღწეულით, განცხრომას მისცემოდა. მუდამ უნდა ვიაროთ წინ, სრულვყოთ ჩვენი მუშაობა, დავეხმაროთ სხვებს მოიპოვონ ასეთივე წარმატებანი.

ძვირფასო ამხანაგებო!

კომუნისტურმა პარტიამ, სოციალისტურმა სახელმწიფომ განუზომლად განადიდეს მშრომელი ადამიანი. ჩვენს ქვეყანაში მამობრივი ზრუნვით, უუარადღებითა და საყოველთაო-სახალხო დიდებით არის გარემოსილი ყველა, ვინც შრომასა და თავის საზოგადოებრივ მოვალეობას კეთილსინდისიერად ეკიდება, მთელ თავის ოსტატობას, უნარს, შემოქმედებითს ალმაფრენას ახმარს სამშობლოსათვის სამსახურს. კომუნიზმის საქმეს.

კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მილიონობით მონაწილის სახელით წმიდათა-წმიდა ვალდებულებას ვკისრულობთ ჩვენი ლენინური პარტიის, საბჭოთა ხალხის წინაშე, რომ გავამართლებთ მომავლის პიონერთა საპატიო წოდებას, არ დავიშურებთ ძალღონეს კომუნიზმის გამარჯვებისათვის, რომელიც ამკვიდრებს კაცობრიობის უმაღლეს იდეალებს: ყველა ხალხის მშვიდობას, შრომას, თავისუფლებას, თანასწორობას, ძმობასა და ბედნიერებას!

ვიმუშაოთ დაუცხრომლად, ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ ვიცით, თუ რა დიადი და კეთილშობილური მიზნისათვის ვიბრძვით, ვშრომობთ და ვცხოვრობთ.

ლენინის დროშით, კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით წინ, კომუნიზმისაკენ!

ამხანაგი ფიდელ კასტრო საბჭოთა ქვეყანაში

დეპეშა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს

ეს-ეს არის გადავკვეთეთ საბჭოთა საზღვარი. ამ მომენტმა ყველა ჩვენგანი დიდად აღაფრთოვანა. ჩვენ მთელი ძალით ვგრძნობთ დიდ მეგობრობასა და ურღვევ ძმობას, რაც ჩვენს ორ ხალხს შორის დამყარდა. გზა თვითმფრინავისა, რომლითაც საბჭოთა კავშირში მოვფრინავთ. გრძელი იყო. ამბობენ, რომ ეს ყველაზე გრძელი დაუჯდომელი ფრენის ტრასაა ამჟამად. მაგრამ „ტუ-114“ თვითმფრინავმა ბრწყინვალედ დაფარა ეს მანძილი. საბჭოთა ინჟინრებს, მუშებს, შეუძლიათ იამაყონ მისი უბადლო თვისებებით. ხომალდის ეკიპაჟმა თავისი უაღრესად გულითადი მზრუნველი დამოკიდებულებით ჩვენდამი უკვე გვაგრძნობინა საბჭოთა ხალხის მთელი სიყვარული ჩვენი ქვეყნისადმი.

ამ დაუვიწყარ წუთებში ჩვენს მხურვალე ძმურ სალამს გითვლით თქვენ და მთელ საბჭოთა ხალხს.

ფიდელ კასტრო.

„ტუ-114“ თვითმფრინავი, 1963 წლის 27 აპრილი.

კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო რუსი.

ნ. ს. ხრუშჩოვი ტელეფონით ესაუბრა ფიდელ კასტროს

27 აპრილს დაახლოებით 17 საათზე მოსკოვის დროით ამხანაგმა ა. ი. მიკოიანმა, რომელიც მურმანსკში იმყოფება, ტელეფონით უამბო ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს ამხანაგ ფიდელ კასტრო რუსის მურმანსკში ყოფნის შესახებ, იმ განსაკუთრებული აღფრთოვანების შესახებ, რომლითაც საბჭოთა ადამიანები შეხვდნენ კუბის რევოლუციის ბელადს.

შემდეგ ტელეფონთან მიეიდა ამხანაგი ფიდელ კასტრო. იგი გულითადად მიესალმა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს და მხურვალე მადლობა უძღვნა საბჭოთა კავშირში მოწვევისათვის. მეტად აღფრთოვანებული ვარ საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის გამო, თქვა ფიდელ კასტრომ, იმ გულითადი შეხვედრის გამო, რომელიც მურმანსკში გამიწიეს საბჭოთა ადამიანებმა. ამ პირველმა შეხვედრებმა ცხადყო, თუ რაოდენ დიდ პატივს სცემენ და უყვართ ჩვენი კუბელი ხალხი საბჭოთა კავშირში. დიდი მღელვარებით მოველი შეხვედრებს მოსკოვში. ერთხელ კიდევ მადლობას გიძღვნით საბჭოთა კავშირში მოწვევისათვის. ხვალამდე, მოსკოვში შეხვედრამდე.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი გულითადად მიესალმა ფიდელ კასტროს საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის გამო, მადლობა გადაუხადა მეგობრული გრძნობებისათვის, რაც გამოთქმულია მისალმებაში საბჭოთა ხალხისადმი. ნიკიტა სერგის-ძემ თქვა: მოსკოვი მოგელის თქვენ, ამხანაგო ფიდელ კასტრო, მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ მოგესალმება. გელით მოსკოვში — აქ ძმური სტუმართმოყვარეობითა და გულითადობით შეგხვდებიან. მოსკოვში მალე შეხვედრამდე.

კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირმა დაამთავრა მუშაობა

მოსკოვი, 27 აპრილი. (საკდესი). დღეს კრემლის დიდ სასახლეში დამთავრდა კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირი.

მქუხარე ტაშით შეხვდნენ შეკრებილნი ცნობას, რომ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოწვევით საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ამხანაგი ფიდელ კასტრო.

დღეს საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის ვ. ვ. გრიშინის მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ლენინგრადის ოლქის კრასნოე სელოს საშუალო სკოლის დირექტორი **ა. ს. ტიშჩენკო,** დასავლეთ ციმბირის რკინიგზის ბარაბინსკის განყოფილების მატარებლის დისპეტჩერი **ი. ა. კალიაპინი.**

შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ვ. ვ. გრიშინმა.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მიმართვა მუშებისა და კოლმეურნეებისადმი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისადმი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებისადმი, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელისადმი.

უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისადმი.

კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მოწინავეებს გადაეცათ მედლები „შრომითი მამაცობისათვის“

მოსკოვი, 27 აპრილი. (საკდესი). საზეიმო ვითარება სუფევდა დღეს მოსკოვის კრემლის დარბაზებში. აქ შეიკრიბა კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირის ათას ხუთასზე მეტი მონაწილე. პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასა მათი ღონისძიებანი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში.

დღეს აქ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების წარმომადგენლებს — სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მშრომელებს, ინჟინრებს, მასწავლებლებს, ექიმებს, მოსამსახურეებს გადაეცათ მედლები „შრომითი მამაცობისათვის“. თითოეულ დაჯილდოებულს დამსწრენი ერთსულოვანი ტაშით ეგებებოდნენ და აციოლებდნენ. ეს ტაში ეკუთვნოდათ როგორც სახელმოხვეჭილ გმირებს — მუშა ვ. ი. გაგანოვას, კოლმეურნე ნ. გ. ზაგლადას, მეშახტეებს ნ. ი. მამაის, ა. ა. კოლჩიკს, კ. ა. სევერინოვს, ისევე მომავლის სხვა მზვერავებს.

დაჯილდოებულებმა სულითა და გულით მადლობა გადაუხადეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა მთავრობას ჯილდოსათვის, პირობა დადეს, რომ მთელ თავიანთ ძალღონეს, ცოდნასა და უნარს მოახმარენ კომუნიზმისათვის ბრძოლას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სარატოვის ოლქის ნ. გ. ჩერნიშევსკის სახელობის კოლმეურნეობისა და ჩერკასის ოლქის კოლმეურნეობა „ნაპერწკლის“ მშრომელთა მოწოდება — საპირველმაისო ზეიმის დღეები აღნიშნონ მაღალნაყოფიერი შრომით მინდვრებში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა სარატოვის ოლქის ნ. გ. ჩერნიშევსკის სახელობის კოლმეურნეობისა და ჩერკასის ოლქის კოლმეურნეობა „ნაპერწკლის“ მშრომელთა ინიციატივა, რომლებმაც წინადადებით მიმართეს კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს საპირველმაისო ზეიმის დღეებში თავდადებით იშრომონ მინდვრებში, იბრძოლონ საგაზაფხულო თესვის წარმატებით დასამთავ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

საქართველოს სს რესპუბლიკაში საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის დეპუტატ თ. ვ. ლაშქარაშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საკითხი, რომელსაც დღეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს მეექვსე მოწვევის პირველი სესია განიხილავს, დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხია. საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლება კულტურული რევოლუციის დიდი მონაპოვარია და ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ეტაპზე ყოველგვარი განათლების საწყისს წარმოადგენს.

განმარტება არ სჭირდება იმას, რომ საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელება შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლების ძირითად საფუძველს წარმოადგენს, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შუქზე.

პარტიის ახალ პროგრამაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამოცანები შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული: „კომუნიზმზე გადასვლა გულისხმობს კომუნისტურად შეგნებული და დიდად განათლებული ადამიანების აღზრდასა და მომზადებას, რომელსაც უნარი ექნებათ ეწეოდნენ როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ შრომას, აქტიურ საქმიანობას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში, მეცნიერებისა და კულტურის დარგში“.

სახალხო განათლების სისტემა პროგრამის მიხედვით ისე უნდა მოეწყოს, რომ მოზარდი თაობის სწავლა და აღზრდა მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ცხოვრებასთან, ნაყოფიერ შრომასთან, რომ მოზრდილ მოსახლეობას შეეძლოს შეიჯამოს წარმოების სფეროში მუშაობა სწავლისა და განათლების განგრძობასთან პირადი მოწოდებისა და საზოგადოების მოთხოვნილებათა შესაბამისად. ასეთ პრინციპებზე დამყარებული განათლება ხელს შეუწყობს კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებულ წევრთა ფორმირებას, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური პრობლემის გადაჭრას — გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების აღმოფხვრას.

როგორც ცნობილია, პარტიამ დასახა ამოცანა — უახლოესი ათწლეულის განმავლობაში განხორციელდეს სავალდებულო საშუალო ზოგადი და პოლიტექნიკური თერთმეტწლიანი განათლება სასკოლო ასაკის ყველა ბავშვისათვის და განათლება 8 კლასის მოცულობით ახალგაზრდობის იმ ნაწილისათვის, რომელიც დასაქმებულია სახალხო მეურნეობაში და არა აქვს სათანადო განათლება.

აქედან ჩანს, რომ რვაწლიანი საყოველთაო განათლების საკითხი უაღრესად აქტუალური საკითხია. რადგან არ შეიძლება სადავო იყოს, რომ საშუალო სკოლის ფარგლებში საყოველთაო განათლების ჯეროვანი სისრულით გატარება მოუხერხებელი იქნება უიმისოდ, თუ პირველ რიგში სრულყოფილად არ იქნა განხორციელებული კანონი რვაწლიანი სკოლის შესახებ.

ამ ხანაგო დეპუტატებო! კომუნისტური პარტია ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა სახალხო განათლების საკითხებს. სკოლაზე, მასწავლებელზე, მოზარდი თაობის აღზრდასა და განათლებაზე მისი მუდმივი ზრუნვის შედეგად ჩვენმა ქვეყანამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში უდიდესი წარმატებები მოიპოვა სახალხო განათლების დარგში.

კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელი ვ. ი. ლენინი სახალხო განათლებას განიხილავდა როგორც სოციალიზმისათვის ბრძოლის შემადგენელ ნაწილს.

საყოველთაო განათლების განხორციელების შესახებ მკაფიო მითითებანი იყო მოცემული ჯერ კიდევ 1919 წელს კომუნისტური პარტიის VIII ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამაში და საბჭოთა მთავრობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელ რიგ დადგენილებებში. პროგრამა ითვალისწინებდა ორივე სქესის ყველა ბავშვისათვის 17 წლის ასაკამდე უფასო და სავალდებულო, ზოგადი და პოლიტექნიკური განათლების გატარებას.

საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური განმტკიცების შესაბამისად, წლების განმავლობაში საყოველთაო განათლების მასშტაბები შეუნელებლივ ფართოვდებოდა.

1930-1935 წლებში საბჭოთა კავშირში სამოცამდე ენაზე მთლიანად განხორციელდა საყოველთაო განათლება დაწყებითი სკოლის ფარგლებში, ხოლო 1935-1940 წწ. თითქმის მთლიანად იქნა მოგვარებული აუცილებელი პირობები სიტისოდ, რათა ქვეყანა თანმიმდევრულად გადასულიყო შვიდწლიანი სკოლის ფარგლებში, საყოველთაო განათლების გატარებაზე.

ამ მიმართულებით დიდი წარმატებები მოიპოვა ჩვენმა რესპუბლიკამ. საგრძნობლად გაიზარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელი და მოსწავლეთა რაოდენობა. ამჟამად რესპუბლიკაში არსებობს 4249 სკოლა, აქედან დაწყებითია 1908 სკოლა, რვაწლიანი — 1255 და საშუალო — 1086. ამ სკოლებში სწავლობს 750.519 მოსწავლე, ანუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წელთან შედარებით 5-ჯერ მეტი.

ამასთანავე ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების შედეგად ფართოდ გაიშალა სკოლების ქსელი არაქართველი მოსახლეობისათვის. საქართველოში მცხოვრები არაქართველი ეროვნების მოსწავლეთა რიცხვი დაახლოებით იმგვარადვე ეფარდება ამ ეროვნების მცხოვრებთა საერთო რიცხვს, როგორც ქართული სკოლების მოსწავლეებისა ქართველი მოსახლეობის საერთო რიცხვს.

საყოველთაო განათლების გატარების დარგში წარმატებანი მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1958 წლის დეკემბერში მიღებულ კანონთან და მის საფუძველზე საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ დამტკიცებული კანონის განხორციელებისათვის წარმოებულ ნაყოფიერ მუშაობასთან.

სკოლის შესახებ მიღებული ახალი კანონის საფუძველზე უკანასკნელი სამოოთხი წლის განმავლობაში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით და დახმარებით საყოველთაო მუშაობის გარდაქმნის დარგში ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა.

საგრძნობლად გაფართოვდა მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებელი სკოლების ქსელი. საშუალო ათწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები რეორგანიზებულ იქნა საწარმოო სწავლების საშუალო თერთმეტწლიან ზოგადსაგანმანათლებლო შრომით პოლიტექნიკურ სკოლებად. მნიშვნელოვნად შეიცვალა სასკოლო განათლების შინაარსი, გამოიცა ახალი სახელმძღვანელოები, ბევრმა ფაბრიკამ და ქარხანამ საშუალო სკოლის მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისათვის კარგად მოაწყო სპეციალური საამქროები და უბნები. სკოლებში დაინერგა სწავლების ახალი მეთოდები, ამაღლდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსწავლეთა შრომითი და პოლიტექნიკური აღზრდა.

ამჟამად რესპუბლიკის 1086 საშუალო სკოლის უფროსი კლასების 75 ათასამდე მოსწავლე შეცნობებათა საფუძველის შესწავლასთან ერთად 100-მდე სხვადასხვა პროფესიას ეუფლება. დიდი მუშაობა მიმდინარეობს იმ მიმართულებით, რათა გადაჭრით იქნას ამაღლებული ზოგადსაგანმანათლებლო საგნების— დედაენის, რუსული ენის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიისა და სხვა საგნების სწავლების დონე, რადგან ჩვენს ეპოქაში მეცნიერების საფუძვლიანად დაუფლების გარეშე შეუძლებელია ახალგაზრდობის სრულყოფილად მომზადება ცხოვრებისათვის.

* * *

1959-1960 სასწავლო წლიდან საბჭოთა საქართველოში, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, ნაცვლად საყოველთაო სავალდებულო. შვიდწლიანი განათლებისა, შემოღებულია რვაწლიანი საყოველთაო სავალდებულო განათლება. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველმა ბავშვმა და მოზარდმა 7-15 წლის ასაკში რვაწლიან სკოლაში უნდა ისწავლოს ან იგი დაამთავროს კიდეც.

ამ ამოცანის განხორციელების მიზნით ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა გაწეული.

დიდი ნაბიჯები გადადგმული, კერძოდ, საყოველთაო განათლების სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების მიმართულებით. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის ბიუჯეტი 1959 წლის ბიუჯეტთან შედარებით გაიზარდა 46,6%-ით. 1960-1963 წ.წ. სასკოლო მშენებლობაზე გამოყოფილი სახელმწიფო სახსრები ათჯერ აღემატება ამავე მიზნით 1956-1958 წ.წ. დახარჯულ ასიგნებებს. ოთხი უკანასკნელი წლის განმავლობაში რესპუბლიკის სასკოლო ფონდს შეემატა 64 ათასი მოსწავლის ადგილი. ამავე პერიოდში გაიხსნა 53 ახალი სკოლა-ინტერნატი, 4 გაფართოვდა რვაწლიანი სკოლების ქსელი, ყველა საშუალო სკოლა გადაყვანილია საწარმოო სწავლებაზე.

საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლება, ახალი სასკოლო კანონის საფუძველზე, ნამდვილად იქცა სახალხო საქმედ. მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით სამრეწველო საწარმოთა მუშების და კოლმეურნეთა აქტიური მონაწილეობით შექმნილია სათანადო პირობები, რათა სასკოლო ასაკის ყველა ბავშვმა ნაყოფიერად ისწავლოს სკოლაში. მათივე ინიციატივით სასკოლო შენობათა ფონდს დიდი რაოდენობით შეემატა საწარმოებისა და კოლმეურნეობების შრომითი მონაწილეობის მიღებით კეთილმოწყობილი სასკოლო შენობები. ამ მიმართულებით განსაკუთრებით ისახელებ თავი აჭარის სსს რესპუბლიკამ, ქალაქებმა ქუთაისმა და რუსთავმა, მახარაძის, ზუგდიდის, ქობულეთის, სიღნაღის, ლანჩხუთის, გურჯაანის, თელავის რაიონებმა და რესპუბლიკის ზოგიერთმა სხვა ქალაქმა და რაიონმა.

მიმდინარე, 1962-1963 სასწავლო წელს, როგორც აღინიშნა, რესპუბლიკის სკოლებში ირიცხება 750.519 მოსწავლე, ანუ 55 ათასი მოსწავლით მეტი გასულ წელთან შედარებით.

მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულების მხრივ საერთოდ მდგომარეობა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. შეიძლება დავასახელოთ რესპუბლიკის ბევრი ქალაქი და რაიონი, სადაც გეგმა წარმატებით სრულდება.

მაგრამ, ამასთან ერთად, ბევრგან წლების განმავლობაში და მიმდინარე წელსაც სკოლებში მოსწავლეთა ჩაბმის გეგმის შესრულებაში სერიოზული ნაკლოვანებებია.

ძალზე დიდია სკოლიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა ბოლნისის რაიონის სკოლებში. ამამლოს საშუალო სკოლიდან მიმდინარე სასწავლო წელს განმავლობაში სკოლიდან გავდა 27 სასკოლო ასაკის ბავშვი და მოზარდი; მათგან ოთხი გოგონა გათხოვდა და ამის შედეგად დატოვა სკოლა. ამავე რაიონის ქვემო ბოლნისის საშუალო სკოლიდან უკანასკნელი წლების განმავლობაში სწავლას მოწყდა 104 მოსწავლე. ამ სკოლიდან მოსწავლეთა წასვლას ისიც უწყობს ხელს, რომ ზოგიერთი მშობელი ნაცვლად ხელისშეწყობისა უპასუხისმგებლობას იჩენს და გაჰყავს ბავშვი სკოლიდან. მაგალითად, ქვემო ბოლნისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ სკკპ წევრმა ორჯ. იოსრიევმა სკოლიდან გაიყვანა ვაჟიშვილი. მის მაგალითს მიჰბაძა ადგილობრივი კოლმეურნეობის საწყობის გამგემ მამედ გეუშევმა — იგი არ ატარებს სკოლაში თავის სამ შვილს. ამავე რაიონის სოფ. ორჯონიკიძის საბჭოთა მეურნეობის მუშამ სკკპ წევრმა ვ. ქვილაძემ თავისი გოგონა, დაბადებული 1952 წელს, მეორე კლასიდან გაიყვანა. ჩვენ შიმოგვაქვს წანადება, რომ ის მშობლები ან მათი შემცვლელი პირები. რომლებიც არ უზრუნველყოფენ ბავშვთა და მოზარდთა გაგზავნას სკოლებში და ხელს შეუშლიან საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებას, მკაცრად დაისჯონ.

მოსწავლეთა სკოლიდან გასვლას ადგილი აქვს დედაქალაქშიც. მიმდინარე სასწავლო წელს ქ. თბილისის სკოლებიდან გავიდა 66 მოსწავლე, მათგან ლენინის რაიონის სკოლებიდან 22, 26 კომისრის რაიონის სკოლებიდან — 18, ორჯონიკიძის რაიონის სკოლებიდან — 7 და ა. შ.

წლების განმავლობაში ცალკეული სკოლებიდან გასულ ბავშვთა და სხვა მოზარდთა ერთეულები რესპუბლიკის მასშტაბით ათასებს შეადგენს, რაც მკაფიოდ დასტურდება ქვემოთ მოყვანილი ციფრებით, რომლებშიც ასახულია პირველი კლასების მოსწავლეთა რვაწლიანი სკოლის ფარგლებში შენარჩუნების მაჩვენებლები.

სკოლიდან გასვლის შედარებით უფრო დიდი პროცენტი მოდის მე-5, მე-6 და მე-7 კლასებზე. მიმდინარე სასწავლო წელს მე-5 კლასებში სწავლა არ გაუგრძელებიათ: სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 75 ბავშვს, ბოლნისის რაიონში — 73, დუშეთის — 58, გორის — 20 და ა. შ.

მოსწავლეთა ასეთი დიდი რაოდენობით გასვლა სკოლიდან გამოწვეულია პირველ რიგში იმით, რომ დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები დაუშვებელ უყურადღებობას იჩენენ ამ საქმისადმი, ფულდამშვიდებით ურიგდებიან სკოლებიდან მოსწავლეთა გასვლას. მათივე მიზეზით უხეშად ირღვევა მოსწავლეთა აღრიცხვისა და მოძრაობის — ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლის წესები.

ზოგჯერ სკოლებიდან მოსწავლეთა ჩამოშორების მიზეზად ხდება ხშირი გაცდენები, რაც გამოწვეულია სასოფლო-სამეურნეო და სხვა სეზონურ სამუშაოებზე V-XI კლასების მოსწავლეთა ხანგრძლივად გაყვანით.

მაგალითად, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ოჩამჩირისა და გალის რაიონებში მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში ერთი თვის განმავლობაში მოსწავლეები გაყვანილი ჰყავდათ ჩაის საკრეფად. მსგავს ფაქტებს მეტნაკლებად ადგილი აქვს ზოგიერთ სხვა რაიონშიც.

რვაწლიანი საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის სრულად განხორციელებას საგრძნობლად აფერხებს ზოგიერთი რვაწლიანი სკოლის დიდი მანძილით დაშორება პატარა სოფლების დაწყებითი სკოლებიდან.

მეტიც შეიძლება ითქვას. არის ცალკეული შემთხვევები, როცა დაწყებითი სკოლის სიშორის გამო I-IV კლასების ასაკის ბავშვებიც რჩებიან ნაყოფის გარეთ, მაგალითად, ძალზე მცირე დასახლებათა (2-3-ოჯახი) სიხშირის გამო ლენინგორის რაიონში წელს ვერ მოხერხდა შვიდწლიანი ასაკის 9 ბავშვის ჩაბმა პირველ კლასებში. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე პირობებია მთიან რაიონებში.

ცხადია, რომ ამის გამო ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს სასკოლო ინტერნატების ქსელის ფართოდ გაშლას და მათი მუშაობისათვის სათანადო პირობების შექმნას.

ამჟამად საქართველოს სს რესპუბლიკაში არსებობს 207 სასკოლო ინტერნატი 6650 მოსწავლისათვის. მათგან სახელმწიფო კვებაზეა 1897 მოსწავლე, ანუ ინტერნატების კონტინგენტის 28,5%. სასკოლო ინტერნატები ძირითადად განლაგებულია მთიან რაიონებში.

მაგრამ საერთოდ სასკოლო ინტერნატებს როგორც ადგილობრივი საბჭოებისა და განათლების განყოფილებათა მხრივ, ისე განსაკუთრებით კოლმეურნეობათა მხრივ ნამდვილად აკლიათ მზრუნველობა. ამით აიხსნება, რომ ბევრი ისეთი მოსწავლე, რომელსაც აუცილებლად სჭირდება ინტერნატი, გაურბის მას.

მიზანშეწონილია ზოგიერთ ადგილზე აშენდეს სპეციალური შენობები სასკოლო ინტერნატებისათვის, მით უმეტეს, რომ ამჟამად თითქმის ყველა სასკოლო ინტერნატი მოთავსებულია შეუფერებელ შენობაში.

სასკოლო ინტერნატებში კვების საკითხის მოწესრიგებას დიდად შეუწყობს ხელს საყოველთაო სავალდებულო სწავლების ფონდის ნაწილის ამ დანიშნულებისათვის გამოყენება. უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების ფონდი აუთვისებელი რჩება.

საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების საქმეში სათანადო როლს ასრულებენ სკოლა-ინტერნატები, რომლებიც შექმნილია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივით. ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში მათი საკმაოდ ერცელი ქსელი არსებობს: 1956-1957 სასწავლო წელს მხოლოდ 5 სკოლა-ინტერნატი იყო 1058 აღსაზრდელით. მიმდინარე წელს სკოლა-ინტერნატების რიცხვმა 65-ს მიაღწია და მათში 18124 ბავშვი და მოზარდია გაერთიანებული.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველა საშუალება როდია გამოყენებული, რომ სკოლა-ინტერნატები ნამდვილად ჩაკაკუნონთ საყოველთაო განათლების სამსახურში. ეს რომ განხორციელდეს. აუცილებელია სკოლა-ინტერნატები გაიხსნას მთიან რაიონებში, რაზეც არსებობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს პირდაპირი მითითება. გადადგმულია პირველი ნაბიჯებიც. სკოლა-ინტერნატები გახსნილია ახმეტაში, ბარისახოში, ხულოში, ადიგენში, ასპინძაში, კიცხში, გორდში, დუშეთში, თიანეთში. ახალქალაქში, სკოლა-ინტერნატების მშენებლობა ამჟამად მიმდინარეობს ყაზბეგის, ლენტეხისა და მესტიის რაიონებში. სამწუხაროდ, სამშენებლო ორგანიზაციებს უჭირთ ტექნიკისა და მასალების მიზიდვა მთიან ადგილებში და მშენებლობასაც მაინცდამაინც დიდი ინტერესით არ ეკიდებიან.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია მთიან სოფლებში აშენდეს სკოლა-ინტერნატები აგრეთვე სპეციალურად დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის. ეს ღონისძიება დიდად შეუწყობს ხელს დაწყებით სკოლებში სწავლების ხარისხის მკვეთრად ამაღლებას და შესაძლებლობას მოგვცემს უფრო სრულად გავატაროთ ცხოვრებაში საყოველთაო განათლების კანონი.

მაგალითად, დუშეთის რაიონში საკმარისია აშენდეს 3 სკოლა-ინტერნატი, თვითეული 350 ბავშვისათვის, რომ ამ ინტერნატებში მთლიანად მოთავსდნენ მცირეკომპლექტიანი დაწყებითი 82 სკოლის მოსწავლენი, ხოლო ჯავის რაიონში, სადაც 718 მოსწავლეზე არსებობს 70 დაწყებითი სკოლა, საჭიროა აშენდეს მხოლოდ 2 ასეთი სკოლა-ინტერნატი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა გახანგრძლივებული დღის სკოლების და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობას, რომლებსაც დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ წარმოებისა და დაწესებულებებში დასაქმებულ მუშაკთა ბავშვების აღზრდაში.

საყოველთაო განათლების კანონის გატარების საქმეში დიდ როლს ასრულებენ საბავშვო სახლები.

ჩვენს რესპუბლიკაში 25 საბავშვო სახლი არსებობს, რომლებშიც 2300-მდე უდედმამოდ და უზედამხედველოდ დარჩენილი ბავშვი და მოზარდი იზრდება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე.

წელს განზრახულია ახალი საბავშვო სახლის გახსნა გეგეჭკორში 120 აღსაზრდელისათვის. მაგრამ საბავშვო სახლებში ჩასარიცხთა კონტინგენტი გაცილებით მეტია. აუცილებელია უმოკლეს ხანში ახლად იქნას გახსნილი 4-5 საბავშვო სახლი მაინც.

საყოველთაო განათლების დარგში დასახული სახელმწიფო გეგმების შესრულებას საგრძნობლად აბრკოლებს ის გარემოებაც, რომ რესპუბლიკაში ჯერჯერობით არ არის შექმნილი საიმისო პირობები, რათა სხვადასხვა სახის ფიზიკური დეფექტის მქონე — ყრუ-მუნჯი, უსინათლო და გონებრივად ჩამორჩენილი — ბავშვები მთლიანად მოვათავსოთ მათთვის განკუთვნილ სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში.

საჭიროდ მიგვაჩნია ცალკე შევეხოთ საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებელ სკოლების მუშაობას, რადგან ეს სკოლები დიდ როლს ასრულებენ რვაწლიანი საყოველთაო განათლების კანონის განხორციელების საქმეში.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა წარმოებაში მომუშავე საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდობის სწავლებაში ჩასაბმელად. მაგალითად, ქ. სამტრედიაში არსებობს მუშა ახალგაზრდობის ორი და ერთი ფიზიკური საშუალო სკოლა, მაგრამ 300-მდე ახალგაზრდა მაინც ჩაუბმელია სწავლებაში. არაერთი ასეთი შემთხვევები, როცა საწარმოო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციები და სახალხო განათლების ორგანოები სათანადო დახმარებას არ უწევენ წარმოებაში დასაქმებულ და სწავლებაში ჩაბმულ ახალგაზრდობას.

ამხანაგო დეპუტატებო! რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლა-აღზრდის, შედეგების ანალიზი მკაფიოდ ადასტურებს, რომ მოსწავლეთა სკოლიდან გასვლას მთელ რიგ შემთხვევებში იწვევს სკოლების ერთი ნაწილია სუსტი მატერიალური და სასწავლო ბაზა, ცვლიანობა მეცადინეობაში, სასწავლო გეგმების, პროგრამების, სახელმძღვანელო წიგნების ერთგვაროვანი გადატვირთულობა და მასწავლებელთა გარკვეული ნაწილის განათლებისა და პედაგოგიური დახელოვნების დაბალი დონე.

თუმცა სასკოლო შენობათა ფონდს ყოველწლიურად დიდი რაოდენობით ემატება ახალი ნაგებობანი და საკლასო ოთახები, მაგრამ ეს მოსწავლეთა კონტინგენტის შეუნელებელ ზრდას ჯერ კიდევ ვერ ფარავს. წელს, მაგალითად, მოსწავლეთა რიცხვი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გადიდდა 55 ათასამდე მოსწავლით, მაშინ როცა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა ახალშენებლობათა და მიშენება-დაშენების ხარჯზე მხოლოდ 30 ათასამდე მოსწავლის ადგილით იქნა გაზრდილი. ამის გამო მეორე ცვლაში მომუშავე სკოლებისა და კლასების რიცხვი არ კლებულობს, პირიქით მატულობს კიდეც, ხოლო ქ. თბილისში, ქუთაისში, ფოთში, რუსთავში, სოხუმში, ბათუმში და ცხინვალში მომავალი სასწავლო წლიდან მნიშვნელოვნად იზრდება მოსწავლეთა კონტინგენტი და, თუ არ იქნა განხორციელებული ინტენსიური მშენებლობა, მოსალოდნელია მესამე ცვლიანობა. ასეთივე მდგომარეობა შეიქმნას ახალქალაქის, ბორნისის, გორის, ზესტაფონის, თეთრი წყაროს, ნაშურის და ზოგიერთი სხვა რაიონის ცალკეულ სოფლებში.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სკოლების მაღალხარისხოვანი ავეჯით უზრუნველყოფის დარგში. აქ უფრარეს ყოვლისა ის არის აღსანიშნავი, რომ სკოლებს საერთოდ დიდი რაოდენობით აკლიათ მერხებიც კი, რაც გამოწვეულია იმით, რომ ასიგნებანი ავეჯის შეძენაზე არასაკმარისია. გარდა ამისა, ჩვენი სასკოლო ავეჯი ნაშდვილად მოძველებულია და ვეღარ უპასუხებს იმ მოთხოვნილებებს, რასაც ამჟამად პედაგოგიური და ჰიგიენური თვალსაზრისით უყენებენ სასკოლო ავეჯს.

თუმცა ახალი ტიპის სასკოლო ავეჯის ნიმუშები უკვე შექმნილია და მოწონებულია კიდეც, მაგრამ მათი დანერგვა წარმოებაში დღემდე ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს.

უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში გაიზარდა ასიგნებები სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სასწავლო სახელოსნოებისათვის იარაღ ხელსაწყოებისა და დანადგარების შესაძენად. მაგრამ ჩვენი სკოლები ჯერ კიდევ არასაკმარისად არიან აღჭურვილი დანადგარებით. ძალზე მცირეა, კერძოდ, ჩარხები და სხვა აუცილებელი მოწყობილობა სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებისათვის.

სწავლების ხარისხის ამაღლებას საბჭოთა სკოლაში დიდ დაბრკოლებად ეღობება ის გარემოება, რომ მოსწავლენი გადატვირთული არიან სასწავლო დავალებებით. ამის შესახებ მკაფიოდ არის ლაპარაკი პედაგოგიურ პრესაში და არა მარტო პედაგოგიურ პრესაში. მის წინააღმდეგ სულ უფრო მეტად და მეტად იმაღლებს ხმას ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობა.

ჩვენს რესპუბლიკაში, და სხვა მოძმე რესპუბლიკებშიც, ამ მხრივ კიდევ უფრო რთული მდგომარეობაა. საქმე ის არის, რომ ჩვენს სკოლებში სამი ენა ისწავლება — მშობლიური ენა, რუსული ენა და უცხო ენა, მაშინ როდესაც რსფსრ რუსულ სკოლებში მოსწავლეები ორ ენას სწავლობენ. დედაენის საფუძვლიანად შესწავლასთან ერთად ჩვენი ახალგაზრდობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს სსრ კავშირის ხალხების საერთო სახელმწიფო ენის, მდიდარი რუსული ენის შესწავლას. ჩვენს ხალხს მთელი არსებით სურს შეისწავლოს რუსული ენა. ასე იყო ისტორიულად, მით უმეტეს ასეა დღესაც, ერთიანი საბჭოთა ოჯახის პირობებში. რუსული ენის სათანადოდ შესწავლისათვის კი საშუალო სკოლის ფარგლებში აუცილებელია გამოიყოს, სულ ცოტა, 1500-1600 სასწავლო საათი, რაც დაახლოებით ერთნახევარ სასწავლო წელს შეადგენს. ამ საათების გამოყოფა ხდება ერთი მხრივ კვირეული დატვირთვის გადიდების, ხოლო მეორე მხრივ ძირითადი სასწავლო დისციპლინების საათების შემცირების ხარჯზე, რაც განსაკუთრებულ გადატვირთულობას ქმნის.

ამის გამო პედაგოგთა გარკვეულ ფენებში თანდათან ფართოდ მკვიდრდება იდეა მოსამზადებელი კლასების ჩამოყალიბებისა ეროვნულ სკოლებთან, სადაც ნავარაუდევია 6 წლის ასაკის ბავშვების მიღება. მოსამზადებელი კლასების შექმნა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აკადემიური ჩამორჩენილობის დაძლევას, საგრძნობლად შეამცირებს მეორეწლიანობას, რაც, როგორც ითქვა, მოსწავლის სკოლიდან გასვლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს.

რაც შეეხება საერთოდ გადატვირთულობის დაძლევას, ამ მიმართულებით ამჟამად სათანადო მუშაობა მიმდინარეობს. ამ მუშაობის კოორდინაციას ახდენს რუსეთის ფედერაციის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემია. მასში ჩაბმულია ჩვენი განათლების სამინისტრო და რესპუბლიკის სამეცნიერო-პედაგოგიური დაწესებულებანი.

სწავლების ხარისხის შემდგომი ამაღლების საქმეში დიდ როლს ასრულებს მოსწავლეთა უზრუნველყოფა მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელოებით.

რვაწლიანი სკოლის ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით შეიქმნა მთელი რიგი საგნების ახალი სასკოლო სახელმძღვანელოები. მთელი რიგი საგნების უფრო სრულყოფილი სახელმძღვანელოების შექმნის მიზნით ტარდება კონკურსი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა ახალი სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. არის შემთხვევები, როდესაც გამომცემლობა „ცოდნა“, რომელსაც დავალებული აქვს სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემა, ზოგჯერ დროულად ვერ იღებს მისთვის განკუთვნილ საბეჭდი ქაღალდის ნორმას, რის გამო წიგნის გამოცემა იგვიანებს, მაშინ როდესაც არაიშვიათად გამოდის ისეთი ლიტერატურა, რომელიც აუცილებლობას არ წარმოადგენს.

საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებელ სკოლებს მასწავლებელთა დიდი არშია ემსახურება. მიმდინარე სასწავლო წლისათვის ჩვენი სკოლის მასწავლებელთა შემადგენლობა 59.500 კაცს აღწევს. მათგან 32.500 უმაღლესი განათლებითაა, რაც მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 55% შეადგენს. უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებელთა რიგები თანდათან დიდდება.

უკვე მესამე წელია, რაც განათლების სამინისტროო დაწყებით კლასებიც კი მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე პირებს ნიშნავს. მათ საკმაო რაოდენობით ამზადებენ რესპუბლიკის პედაგოგიური ინსტიტუტები.

რესპუბლიკის სკოლების აბსოლუტური უმრავლესობა ძირითადად უზრუნველყოფილია მასწავლებლებით. მაგრამ ზოგიერთ სკოლაში მასწავლებლები მაინც გვაკლია უცხო ენასა, რუსულ ენასა და ზოგან მათემატიკურ დისციპლინებში.

რესპუბლიკის მთელი რიგი პედაგოგიური ინსტიტუტები, განსაკუთრებით თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ძირითადად კომპლექტდება თბილისელი ახალგაზრდობით და უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ მათი უმრავლესობა სოფლად სამუშაოზე წასვლას თავს არიდებს. ეს წლობით მეორდება და ამიტომ მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით სოფლის სკოლების უზრუნველყოფა ზოგჯერ ძნელდება. ამიტომ აუცილებელია პრაქტიკულად გადაწყდეს საკითხი სოფლის, განსაკუთრებით კი შორეული სოფლების, ახალგაზრდობის უფრო მეტი რაოდენობით მიზიდვისა უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში.

მეორე მხრივ, კვალიფიციურ მასწავლებელთა კადრებით სკოლების, პირველ რიგში სოფლის რვაწლიანი სკოლების, დაეკომპლექტებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ რესპუბლიკის 1.255 რვაწლიანი სკოლიდან 1.008 სკოლას, ანუ სკოლათა 80,3%-ს მხოლოდ თითო V-VI-VII-VIII კლასი აქვს და მთელ რიგ საგნებში საშუალო კვირეული დატვირთვა 10-12 საათს არ აღემატება. ასე მცირე საათებზე კი არაადგილობრივი მცხოვრები, ჩამოსული მასწავლებლის დამაგრება შეუძლებელი ხდება. 1960 წლიდან პედინსტიტუტები სწავლების ორპროფილიან სისტემაზე გადავიდნენ. ამ სისტემას, გარკვეული ასპექტებით, ეგება ბევრი ნაკლიც ჰქონდე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის

დეპუტატ ე. შევარდნაძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 37-ე მუხლის საფუძველზე სამაოდატო კომისიამ შეამოწმა ოდუღებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ყველა 400 დეპუტატისა, ოთმლებიც არჩეული არიან 1963 წლის 17 მარტს.

განიხილა ორ დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის ოქმები და საოლკო საარჩევნო კომისიების ხმის მიცემის ოქმები, აგრეთვე ცენტრალური საარიენენო კომისიის მიერ წარმოდგენილი სხვა მასალები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიამ დაადგინა, რომ ყველა 400 საარჩევნო ოლქში, ოთმლებიც შექმნილი იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, არჩეულნი ჩატარდა საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით.

არც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და არც საოლქო საარჩევნო კომისიებში არ შემოსულა არავითარი საჩივარი ან განცხადება, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებდა არჩევნების სისწორეს. ამიტომ არავითარი საფუძველი არ არსებობს არჩევნების გასაუქმებლად არც ერთ საარჩევნო ოლქში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.644.321 ამომრჩეველმა, ანუ ამომრჩეველთა სიების შეტანილ მოქალაქეთა 99,99 პროცენტმა. დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა 2.643.113 ამომრჩეველმა, რაც კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა 99,96 პროცენტს შეადგენს. კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის ყველა კანდიდატი ერთსულოვნად იქნა არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

როგორია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობა?

400 დეპუტატიდან 87 მუშაა, ხოლო 101 კოლმეურნე. 188 კაცი, ანუ დეპუტატთა 47% უშუალოდ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სფეროსა დასაქმებული, 31 დეპუტატი ხელმძღვანელობს საწარმოო დაწესებულებებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებს, 23 — კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, 127 კაცი პარტიული და საბჭოთა მუშაკია, 4 კომკავშირულ და პროფკავშირულ სამუშაოზეა. მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგები წარმოდგენილია 35 დეპუტატით, მათ შორის მეცნიერთაგან — 14 აკადემიკოსია, 4 მეცნიერებათა დოქტორი, 16 მეცნიერებათა კანდიდატი.

დეპუტატთა შორის 213 კაცს უმაღლესი განათლება აქვს, 12-ს — დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება, ხოლო 79-ს საშუალო განათლება.

201 დეპუტატის დამსახურება ხალხისა და პარტიის წინაშე აღნიშნულია მთავრობის ჯილდოებით — ორდენებითა და მედლებით. მათ შორის 3 საბჭოთა კავშირის გმირია, 16 — სოციალისტური შრომის გმირი, 6 — სახელმწიფო პრემიის, ხოლო 2 — ლენინური პრემიის ლაურეატი.

დეპუტატთა უმრავლესობა — 285 კაცი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია, 115 უპარტიო ამხანაგია, მათ შორის — 23 საკავშირო ალკა წევრია. 125 დეპუტატი ანუ დეპუტატთა საერთო რაოდენობის 31,2% ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის სფეროში დასაქმებულ ქალთა წარმომადგენლებია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობა ასაკის მიხედვით შემდეგი მოხაცემებით ხასიათდება: 21-დან 24 წლამდე — 11 კაცი, 25-დან 29 წლამდე — 42 კაცი, 30-დან 39 წლამდე, — 116, 40-დან 49 წლამდე 131 დეპუტატი და 50 წელზე ზევით — 100 კაცი.

ეროვნების მიხედვით: ქართველია — 322 დეპუტატი, რუსი — 24, აზერბაიჯანელი — 13, აფხაზი — 13, სომეხი — 12, ოსი — 7, უკრაინელი — 4 და სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი — 5.

არჩეული 400 დეპუტატიდან 304 არ ყოფილა გასული მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, მათგან 292 დეპუტატი საერთოდ პირველად არის არჩეული უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში.

რაზე მეტყველებს ეს ციფრები? უწინარეს ყოვლისა იმაზე, რომ ქართველი ხალხი, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, განიცდის უდიდეს პოლიტიკურ აღმავლობას და მჭიდროდ არის დარაზმული მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

არჩევნების დღეებში გამოვლინებული ხალხის ერთსულოვნება და ორგანიზებულობა უტყუარი დადასტურებაა საბჭოთა დემოკრატიის დიადი ცხოველყოფელი ძალისა, რომელმაც გზა გაუხსნა მშრომელთა ფართო მასების უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობისაკენ.

საქართველოს თითქმის ყველა მშრომელმა, ყველა ამომრჩეველმა ხმა მისცა კომუნისტებისა და უპარტიოების ნაცადი ბლოკის კანდიდატებს, რაც იძას ნიშნავს, რომ ქართველი ხალხი, ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა პატიოსანი ადამიანი ხმას აძლევს ჩვენი დიადი პარტიის პოლიტიკას მისი მოღვაწეობის ყველა სფეროში, ხმას აძლევს პარტიის აზრებს, მის იდეებსა და გეგმებს ახალი საზოგადოების მშენებლობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე სეროიზული ცვლილებები განიცადა ჩვენი რესპუბლიკის ადმინისტრაციული დაყოფის რუკამ. საბჭოთა ორგანიზების საწარმოო პრინციპის მიხედვით რეორგანიზაციამ გამოიწვია მთელი რიგი სასოფლო რაიონების გამსხვილება და ახალი სამეწველო რაიონების ჩამოყალიბება; ამ გარემოებამ განაპირობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საარჩევნო ოლქების შექმნა ცალკე მრეწველობაში დასაქმებული მოსახლეობისათვის და ცალკე სოფლის მოსახლეობისათვის.

ამ მოვლენის დადებითი მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ დეპუტატებს საშუალება ექნებათ უკეთ წარმოადგინონ როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მოსახლეობის სპეციფიკური ინტერესები რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოში.

დეპუტატთა შემადგენლობის ანალიზი იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს მშრომელები ღირსეულად აფასებენ დადგენილებს, რომლებიც ქმნიან მატერიალურ დოვლათს და დაუღალავი შრომით ჰეფენ ჩვენი საზოგადოების ნათელ მომავალს. ხალხი უსაზღვროდ აფასებს და უდიდეს ნდობას უცხადებს ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რომლებიც, ამდიდრებენ რა მეცნიერებისა და კულტურის საგანძურს, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის მხარდამხარ ხორცს ასხამენ კომუნისტური პარტიის პროგრამით დასახულ დიდ იდეალებს.

რესპუბლიკის მშრომელებმა თავიანთ უმაღლეს ორგანოში წარგზავნეს წარმოების მეთაურთა, პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ მუშაკთა დიდი ჯგუფი, რომლებიც დაუღალავ ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ მუშაობას ეწევიან პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში ღირსეულად არიან წარმოდგენილნი ჩვენი ქვეყნის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის მომხრეთა იმედი და სიამაყე—საბჭოთა შეიარაღებული ძალები.

არსად, კაპიტალიზმის არც ერთ ქვეყანაში ოცხებითაც კი არ შეუძლიათ წარმოიდგინონ პარლამენტი, სადაც ასე ბრწყინვალედ იყოს შერწყმული ინტერესები მამაკაცებისა და ქალებისა, სხვადასხვა ეროვნებისა და პროფესიების წარმომადგენლებისა, სადაც ასე შესანიშნავად შეხამებული იყოს დეპუტატთა ერთი ნაწილის სიბრძნე და ცხოვრების გამოცდილება მეორე ნაწილის ახალგაზრდული ენთუზიაზმსა და მჩქეფარებასთან.

საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში არჩეული არიან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლები.

უმაღლესი საბჭოს ყოველი დეპუტატი ჩვენი ხალხისა და ჩვენი პარტიის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიამ, შეამოწმა რა ახლად არჩეული დეპუტატების უფლებამოსილება, მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც შემომაქვს თქვენს განსახილველად.

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ყველა 400 საარჩევნო ოლქში ჩატარდა საქართველოს სსრ კონსტიტუციის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების საფუძველზე და მისი სრული შესაბამისობით.

2. არ არის არავითარი საფუძველი არჩევნების გასაუქმებლად რომელიმე საარჩევნო ოლქში. არავითარი საჩივარი და განცხადება უმაღლესი საბჭოს არჩევნების გამო საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების დარღვევის შესახებ არ შესულა არც საოლქო საარჩევნო კომისიებში, არც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისია უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად ადგენს წინადადებას — ცნობილ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ყველა დეპუტატის რწმუნებანი, რომლებიც რეგისტრირებული არიან ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ და რომელთა სია გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტისა“ და „ზარიბ ვოსტოკას“ 1963 წლის 21 მარტის ნომერში.

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საყოველთაო სავალდებულო 8-წლიანი სწავლების შესახებ

დეპუტატ ი. ბუაჩიძის თანამოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ამხანაგმა თამარ ლაშქარაშვილმა თავისი ვრცელი და შინაარსიანი მოხსენებით გაგვაცნო, თუ რა მდგომარეობაა ჩვენს რესპუბლიკაში საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განხორციელების საქმეში. ამ საკითხის შესწავლისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განათლებისა და კულტურის კომისიამ საქართველოს მინისტრთა საბჭოს, განათლების სამინისტროს აქტივისა და წინა მოწვევის დეპუტატთა მონაწილეობით ჩატარა საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულების მდგომარეობის შემოწმება აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქალაქებში თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ზუგდიდის, გურჯაანის, ახალქალაქის, მაიაკოვსკის, ბოლნისისა და ამბროლაურის რაიონებში.

შემოწმებით დადასტურდა, რომ საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელებისათვის ადგილებზე, უმრავლეს შემთხვევაში, სისტემატურად ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი. აფხაზეთის, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, რაიონული და საქალაქო საბჭოების სხდომებზე განხილულია ამ კანონის განხორციელების მდგომარეობა.

ამხანაგო დეპუტატებო!

რვაწლიანი საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღება დიდ საშუალებას ქმნის ჩვენი ქვეყნის კულტურული ძალების შემდგომი ზრდისათვის, ამიტომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას ამ კანონის მტკიცედ განხორციელება და აღმოიფხვრას ის ნაკლოვანებანი, რომლებიც სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვაქვს. მე აქ ვრცლად არ ვჩერდები ამ საკითხის ადგილებზე შესწავლის შედეგად გამოვლინებულ მიღწევებზე, რაზედაც საუბარია ითქვა განათლების მინისტრის მოხსენებაში. მე მინდა დეპუტატების ყურადღება მივაქციო ზოგიერთ ხარეეზს, რომლებიც შენიშნულია შემოწმებულ რაიონებსა და ქალაქებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1959 წელს გამოსცა ინსტრუქცია სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის შესახებ, რომლის განუხრელად გატარება დიდად უწყობს ხელს საყოველთაო სავალდებულო 8-წლიანი სწავლების კანონის განხორციელებას.

შემოწმების დროს გამოირკვა, რომ მთელ რიგ ადგილებში სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვა საჭირო სიმაღლეზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ დგას. ამის გამო სასკოლო ასაკის ბავშვების ნაწილი რჩება აღურიცხავი, ე. ი. სკოლის გარეთაც. ფაქტებით ირკვევა სეროიზული ნაკლოვანებანი ადგილებზე საკომლო წიგნების წარმოებაში.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის შემოწმებით აგრეთვე გამოვლინდა, რომ სასწავლო წლის პერიოდში ადგილი აქვს სკოლებიდან მოსწავლეთა დიდი რაოდენობით გასვლას.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღებიდან მოსწავლეთა სკოლებში ჩაბმის კონტიგენტის გეგმის შესრულება ყოველწლიურად მატულობს. მიმდინარე სასწავლო წელს კონტინგენტის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში. ამავე დროს მოსწავლეთა ჩაბმის გეგმა შ„არილ ელია აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში (97,8 პროცენტი), სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში (97,8 პროცენტი), ახალქალაქის რაიონში (96,6 პროცენტი), ამბროლაურის რაიონში (95,4 პროცენტი) და სხვ. მთლიანად რესპუბლიკაში მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა შესრულებულია 99 პროცენტით.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ადგილებზე დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა შენარჩუნებას რვაწლიან სკოლებში, მაგრამ აღსანიშნავია მეორე გარემობაც — მოსწავლეთა ჩამორჩენა სწავლაში. მაგალითად, გურჯაანის რაიონის სკოლების პირველ კლასებში 1955-56 სასწავლო წელს მიღებული იყო 1.244 ბავშვი, ამათგან მიმდინარე 1962-63 სასწავლო წელს მერვე კლასში სწავლობს 967, ე. ი. 277 ბავშვით ნაკლები; შემოწმებით გამოირკვა, რომ ეს ბავშვები სკოლებიდან კი არ გასულან, არამედ წინა კლასებში დარჩენილან.

ზუგდიდის რაიონის სკოლებში სწავლობს 1.095 მეორეწლიანი, მათგან მიმდინარე სასწავლო წლის პირველ და მეორე მეოთხედებში ჩამორჩენილია 231 მოსწავლე. ახალქალაქის რაიონის სკოლებში მიმდინარე სასწავლო წელს ირიცხება 1.526 მეორეწლიანი მოსწავლე, მათგან სასწავლო წლის პირველ ნახევარში ჩამორჩენილია 448.

საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელებას დიდად უწყობს ხელს სასკოლო ინტერნატების არსებობა. რესპუბლიკაში არსებულ 207 სასკოლო ინტერნატში 6.650 მოსწავლე ითვლება. ინტერნატთა ქსელი ძირითადად განლაგებულია აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, დუშეთის, ყაზბეგის, თეთრი წყაროს, ბოლნისის მთიან ადგილებში. მარტო სამხრეთ ოსეთში ითვლება 29 ინტერნატი 900 მოსწავლით, მაგრამ, როგორც შემოწმებით გამოირკვა, ხეთაგუროვის, ზნაურისა და ჯავის სასკოლო ინტერნატებში მოსწავლეებისათვის შექმნილი არ არის ნორმალური პირობები. ისინი უზრუნველყოფილი არ არიან საწოლებით, არა აქვთ მაგარი და რბილი ინვენტარი, ზოგიერთ შემთხვევაში ინტერნატის ბავშვები მოთავსებული არიან დაქირავებულ ოთახებში, აჭარის ასს რესპუბლიკაში მაღალმთიანი რაიონების სასკოლო ინტერნატებში ითვლება 1.100 ბავშვი. სასკოლო ინტერნატები უზრუნველყოფილია ინვენტარით, გათბობითა და განათებით. აღსანიშნავია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კოლმეურნეობები აქტიურად ეხმარებიან სასკოლო ინტერნატებს. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 1962-63 სასწავლო წელს მუშაობს 4 სასკოლო ინტერნატი 180 ადგილით. მაგრამ აქ კვებით უზრუნველყოფილია მხოლოდ 15 მოსწავლე. ეს ერთგვარ ფსიქოლოგიურ უხერხულობას ქმნის სკოლის მშაკებისათვის. საჭირო იქნება აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობების დახმარებით მოგვარდეს კვებით უზრუნველყოფილთა რიცხვის გადიდება.

როგორც ცნობილია, სკოლა-ინტერნატებს შეუძლიათ დიდი როლი ითამაშონ საყოველთაო სავალდებულო სწავლებას განხორციელების საქმეში.

საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელებისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს საბავშვო საალებს. რესპუბლიკაში ახლა არის 25 საბავშვო სახლი, სადაც ითვლება 2.300-მდე უდედმამო და უზედამხედველო ბავშვი, რომლებიც იზრდებიან სახელმწიფოს ხარჯზე. საბავშვო სახლთა ეს რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს საბავშვო სახლებში ჩასარიცხავ კონტინგენტს, ამის გამო ისმება საკითხი საბავშო სახლების ქსელის გაფართოების შესახებ.

ამხანაგო დეპუტატებო! საყოველთაო სავალდებულო 8-წლიანი სწავლების კანონის განხორციელების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებებიდან ბევრი წარმატებით სრულდება. მაგრამ არის ისეთნიც, რომლებიც ჯერ კიდევ საჭიროებს მეტ ყურადღებასა და ზრუნვას. ასეთია, მაგალითად, სასკოლო მშენებლობის საკითხი. სასკოლო შენობათა საკავშირო აღწერის ცნობების მიხედვით დადგენილია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში 2.529 სკოლა მოთავსებულია ხისა და შერეული მასალისაგან აგებულ შენობებში, 343 სკოლის შენობა ავარიულ მდგომარეობაშია და თხოულობს მთლიანად შეცვლას; ამავე დროს სკოლების 23.100 კვ. მ. სასკოლო ფართობი დაკავებული აქვთ სხვადასხვა ორგანიზაციებს და კერძო პირებს. სასკოლო მშენებლობა ჩვენს რესპუბლიკაში ყოველწლიურად იზრდება როგორც სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის ბიუჯეტი 1959 წლის ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 47 პროცენტით. საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანსონობით მისი წარმოებისა და კოლმეურნეობების შრომითი მონაწილეობით ბევრგან აგებულია კეთილმოწყობილი სასკოლო შენობა.

საქართველოს სკოლებში თითქმის 60.000 მასწავლებელი მუშაობს. აქედან 55 პროცენტს უმაღლესი სკოლა აქვს დამთავრებული.

მეტად სასიხარულოა, რომ ჩვენში შეიქმნა ისეთი პირობები, რომ უკვე მესამე წელია დაწყებით კლასებშიც კი ძირითადად მასწავლებლად უმაღლესი განათლების მქონე პირები ინიშნებიან. მაგრამ ძხოლოდ ეს არ არის საკმარისი, საჭიროა მეტი ყურადღება მასწავლებელთადმი. ძრავალ ქალაქსა და რაიონში დიდ ზრუნვას იჩენენ მასწავლებელთა პირობების გაუმჯობესებისათვის. აჭარის ასს რესპუბლიკაში ამ უკანასკნელ ხანს პასუხისმგებლობით ეკიდებიან მასწავლებელთა სახლების მშენებლობას. იგივე ითქმის ზუგდიდის, მაიაკოვსკის, გურჯაანისა და ზოგიერთი სხვა რაიონის შესახებ. მაგრამ ბევრი რამ ამ მიმართულებით დღემდე მოუწესრიგებელია. ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად სრულდება დადგენილება სოფლის რაიონებში მასწავლებელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, მაგალითად, ყაზბეგის, ბოლნისის, სამტრედიის, მესტიის, ახალციხის, სიღნაღის, წყალტუბოს, დუშეთის, ზესტაფონის და ზოგიერთ სხვა რაიონებში.

შემჩნეულია, რომ ზოგჯერ მასწავლებლებისათვის საცხოვრებლად აგებული ბინები გამოყენებულია არადანიშნულებისამებრ (მაგალითად, მესტიისა და სხვა რაიონებში). სოფლის მასწავლებელთა ბინების მშენებლობის გეგმები ძალიან ცუდად სრულდება აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, თელავის და ზოგიერთი სხვა რაიონში.

სოფლად მასწავლებელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად იქნება მოსწავლეები უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით. ამ საკითხს ორი მხარე აქვს: რაოდენობრივი და ხარისხობრივი. რაოდენობრივად სახელმძღვანელოებით სკოლები ძირითადად უზრუნველყოფილი არიან, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ ნაკლს, რომელიც ახლავს წიგნების, განაწილების ორგანიზაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი სახელმძღვანელო ძალიან დიდი მოცულობისაა, შეიცავს ძნელად ასათვისებელ და არასაჭირო მასალას, კორექტურულ შეცდომებს, გამოცემულია უგულოდ და არამიმზიდველად და სხვ.

ასეთი წიგნები იწვევს მოსწავლეთა გადატვირთვას და უკარგავს მათ საგნისადმი ინტერესს.

ეს მეტად რთული, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, და მიგვაჩნია, რომ ეს უნდა გახდეს განათლების სამინისტროს, სათანადო სამეცნიერო დაწესებულების, გამოცდილი პედაგოგებისა და უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის სპეციალური მსჯელობის საგანი.

ამხანაგო დეპუტატებო! საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განხორციელება დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა და საჭიროა ყველა საბჭოთა ორგანომ და მთელმა საზოგადოებრიობამ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, შეუნელებლივ იბრძოლოს ამ დიდი საქმის წარმატებით შესრულებისათვის.

საბჭოთა ქვეყანა, მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად დარაზმული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო და შეიარაღებული მისი ისტორიული XXII ყრილობის დადგენილებითა და ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებით გმირული შრომით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას. კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში დიდ გამარჯვებებს აღწევენ საქართველოს მშრომელებიც. ჩვენი მომავალი წარმატებები დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მაღალ დონეზე დავაყენებთ ჩვენი მომავლის — ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის

დეპუტატ ე. შევარდნაძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 37-ე მუხლის საფუძველზე სამაოდატო კომისიამ შეამოწმა ოდუღებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ყველა 400 დეპუტატისა, ოთმლებიც არჩეული არიან 1963 წლის 17 მარტს.

განიხილა ორ დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის ოქმები და საოლკო საარჩევნო კომისიების ხმის მიცემის ოქმები, აგრეთვე ცენტრალური საარიენენო კომისიის მიერ წარმოდგენილი სხვა მასალები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიამ დაადგინა, რომ ყველა 400 საარჩევნო ოლქში, ოთმლებიც შექმნილი იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, არჩეულნი ჩატარდა საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით.

არც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და არც საოლქო საარჩევნო კომისიებში არ შემოსულა არავითარი საჩივარი ან განცხადება, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებდა არჩევნების სისწორეს. ამიტომ არავითარი საფუძველი არ არსებობს არჩევნების გასაუქმებლად არც ერთ საარჩევნო ოლქში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.644.321 ამომრჩეველმა, ანუ ამომრჩეველთა სიების შეტანილ მოქალაქეთა 99,99 პროცენტმა. დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა 2.643.113 ამომრჩეველმა, რაც კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა 99,96 პროცენტს შეადგენს. კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის ყველა კანდიდატი ერთსულოვნად იქნა არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

როგორია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობა ასაკის მიხედვით შემდეგი მოხაცემებით ხასიათდება: 21-დან 24 წლამდე — 11 კაცი, 25-დან 29 წლამდე — 42 კაცი, 30-დან 39 წლამდე, — 116, 40-დან 49 წლამდე 131 დეპუტატი და 50 წელზე ზევით — 100 კაცი.

ეროვნების მიხედვით: ქართველია — 322 დეპუტატი, რუსი — 24, აზერბაიჯანელი — 13, აფხაზი — 13, სომეხი — 12, ოსი — 7, უკრაინელი — 4 და სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი — 5.

არჩეული 400 დეპუტატიდან 304 არ ყოფილა გასული მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, მათგან 292 დეპუტატი საერთოდ პირველად არის არჩეული უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში.

რაზე მეტყველებს ეს ციფრები? უწინარეს ყოვლისა იმაზე, რომ ქართველი ხალხი, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, განიცდის უდიდეს პოლიტიკურ აღმავლობას და მჭიდროდ არის დარაზმული მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

არჩევნების დღეებში გამოვლინებული ხალხის ერთსულოვნება და ორგანიზებულობა უტყუარი დადასტურებაა საბჭოთა დემოკრატიის დიადი ცხოველყოფელი ძალისა, რომელმაც გზა გაუხსნა მშრომელთა ფართო მასების უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობისაკენ.

საქართველოს თითქმის ყველა მშრომელმა, ყველა ამომრჩეველმა ხმა მისცა კომუნისტებისა და უპარტიოების ნაცადი ბლოკის კანდიდატებს, რაც იძას ნიშნავს, რომ ქართველი ხალხი, ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა პატიოსანი ადამიანი ხმას აძლევს ჩვენი დიადი პარტიის პოლიტიკას მისი მოღვაწეობის ყველა სფეროში, ხმას აძლევს პარტიის აზრებს, მის იდეებსა და გეგმებს ახალი საზოგადოების მშენებლობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე სეროიზული ცვლილებები განიცადა ჩვენი რესპუბლიკის ადმინისტრაციული დაყოფის რუკამ. საბჭოთა ორგანიზების საწარმოო პრინციპის მიხედვით რეორგანიზაციამ გამოიწვია მთელი რიგი სასოფლო რაიონების გამსხვილება და ახალი სამეწველო რაიონების ჩამოყალიბება; ამ გარემოებამ განაპირობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საარჩევნო ოლქების შექმნა ცალკე მრეწველობაში დასაქმებული მოსახლეობისათვის და ცალკე სოფლის მოსახლეობისათვის.

ამ მოვლენის დადებითი მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ დეპუტატებს საშუალება ექნებათ უკეთ წარმოადგინონ როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მოსახლეობის სპეციფიკური ინტერესები რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოში.

დეპუტატთა შემადგენლობის ანალიზი იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს მშრომელები ღირსეულად აფასებენ დადგენილებს, რომლებიც ქმნიან მატერიალურ დოვლათს და დაუღალავი შრომით ჰეფენ ჩვენი საზოგადოების ნათელ მომავალს. ხალხი უსაზღვროდ აფასებს და უდიდეს ნდობას უცხადებს ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რომლებიც, ამდიდრებენ რა მეცნიერებისა და კულტურის საგანძურს, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის მხარდამხარ ხორცს ასხამენ კომუნისტური პარტიის პროგრამით დასახულ დიდ იდეალებს.

რესპუბლიკის მშრომელებმა თავიანთ უმაღლეს ორგანოში წარგზავნეს წარმოების მეთაურთა, პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ მუშაკთა დიდი ჯგუფი, რომლებიც დაუღალავ ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ მუშაობას ეწევიან პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში ღირსეულად არიან წარმოდგენილნი ჩვენი ქვეყნის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის მომხრეთა იმედი და სიამაყე—საბჭოთა შეიარაღებული ძალები.

არსად, კაპიტალიზმის არც ერთ ქვეყანაში ოცხებითაც კი არ შეუძლიათ წარმოიდგინონ პარლამენტი, სადაც ასე ბრწყინვალედ იყოს შერწყმული ინტერესები მამაკაცებისა და ქალებისა, სხვადასხვა ეროვნებისა და პროფესიების წარმომადგენლებისა, სადაც ასე შესანიშნავად შეხამებული იყოს დეპუტატთა ერთი ნაწილის სიბრძნე და ცხოვრების გამოცდილება მეორე ნაწილის ახალგაზრდული ენთუზიაზმსა და მჩქეფარებასთან.

საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში არჩეული არიან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლები.

უმაღლესი საბჭოს ყოველი დეპუტატი ჩვენი ხალხისა და ჩვენი პარტიის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიამ, შეამოწმა რა ახლად არჩეული დეპუტატების უფლებამოსილება, მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც შემომაქვს თქვენს განსახილველად.

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ყველა 400 საარჩევნო ოლქში ჩატარდა საქართველოს სსრ კონსტიტუციის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების საფუძველზე და მისი სრული შესაბამისობით.

2. არ არის არავითარი საფუძველი არჩევნების გასაუქმებლად რომელიმე საარჩევნო ოლქში. არავითარი საჩივარი და განცხადება უმაღლესი საბჭოს არჩევნების გამო საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების დარღვევის შესახებ არ შესულა არც საოლქო საარჩევნო კომისიებში, არც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისია უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად ადგენს წინადადებას — ცნობილ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ყველა დეპუტატის რწმუნებანი, რომლებიც რეგისტრირებული არიან ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ და რომელთა სია გამოქვეყნებ

საახალოვანი წლისთავი



ე. ნ. ალიხანოვი,
აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

43-ე ჯერ მრეწველობის ათობით ახალი დარგ, რომლებსაც ძველ აზერბაიჯანში არ იცნობდნენ: სამთამადნო და მეტალურგიული, ელექტრომანქანათსაშენებელი და ხელსაწყოთსაშენებელი, მსუბუქი და კვების მრეწველობა, რომლებმაც დიდი ადგილი დაიკავა ჩვენს ეკონომიკაში.

ჩვენი ინდუსტრიის მაღალ დონეს ის ფაქტიც მოწმობს, რომ მის პროდუქციას ახლა 54 ქვეყანას ვაწვდით. სუმგაითის მთლიანგლინული ლითონის მილებს ფართოდ იყენებენ როგორც საბჭოთა ქვეყანაში, ისე მის საზღვრებს გარეთ; ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შორს არის გამოყენებული მრეწველობაში აზერბაიჯანის ალუმინი და სინთეზური კაუჩუკი.

მძლავრ ზრდას და რესპუბლიკის მრეწველობაში მომხდარ ძირეულ ცვლილებებს გამოხატავს ციფრების ზუსტი ენა. 47-ჯერ გაიზარდა მრეწველობის მთლიანი პროდუქცია საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო წარმოების მოცულობის მიხედვით ჩვენი რესპუბლიკა წარმატებით ეჯიბრება კაპიტალიზმის მოწინავე ქვეყნებს.

განუხრელად იზრდება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგის მემამბრეობის მთლიანი პროდუქცია 5-ჯერ გაიზარდა.

ჯერ კიდევ 1921 წელს ვ. ი. ლენინი წერდა აზერბაიჯანის შესახებ: „მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე მეტად გარდაქმნის მხარეს, ააღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“. ახლა ლენინის ეს ანდერძი განხორციელებულია ათეულ ათასობით კილომეტრი სიგრძის სარწყავი სისტემებისა და არხების გაყვანით, რომელთა მეოხებით ერთისამად გადიდდა სარწყავი მიწების ფართობი აზერბაიჯანში.

იზრდება საბჭოთა აზერბაიჯანის მშრომელთა ფართო მასების მატერიალური კეთილდღეობა და ცხოვრების დონე. წლითიწლობით დიდდება ეროვნული შემოსავლისა და სახალხო მოხმარების მოცულობა; უზრუნველყოფილია ჩვენი ადამიანების მოხუცებულობა; მხურვალე ზრუნვით არის გარემოსილი ახალგაზრდათაობა. წარმატებით ვწყვეტთ ბინის პრობლემას. შარშან მარტო ბაქოელებმა მიიღეს 11 ათასზე მეტი ახალი ბინა, მომდინარე წელს კი გაცილებით მეტს მიიღებენ.

საბჭოთა სახელმწიფო უდიდეს სახსრებს გამოჰყოფს მშრომელთა ცხოვრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. საკმარისია ითქვას, რომ შარშან ჩვენს რესპუბლიკის მშრომელებმა საზოგადოებრივი ფონდებიდან სამედიცინო მომსახურებისათვის, სოციალური უზრუნველყოფის, სხვადასხვა მისაცემელისა და შეღავათებისათვის მიიღეს უდიდესი თანხა 420 მილიონი მანეთი.

კომუნისტური მშენებლობის სრულფუფლებანი და აქტიური მონაწილე გახდა აზერბაიჯანელი ქალი. მან არა მარტო მოიშორა ჩადრი — ოჯახის მონობის ეს სიმბოლო, არამედ საწარმოო შრომის, თანამედროვე მეცნიერებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის მწვერვალებსაც კი დაეუფლა.

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები კადრების ნამდვილი სამკედლო გახდა. და შემთხვევითი როდია, რომ სპეციალისტთა მომზადების გაკანონებით, უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების რიცხვით საბჭოთა აზერბაიჯანმა უკან ჩამოიტოვა ბევრი კაპიტალისტური სახელმწიფო. შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი ციფრები: 10 ათას სულ მოსახლეზე ირანის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 9 კაცი, თურქეთში — 19, იტალიაში — 36, საფრანგეთსა და შვეიცარიაში — 44, დანიაში — 51, ხოლო საბჭოთა აზერბაიჯანში — 107 კაცი. მეტად საგულისხმოა, რომ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში სიმოვნებით ჩამოდიან სასწავლებლად საზღვარგარეთელი სტუდენტები.

საბჭოთა აზერბაიჯანის ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის, ისევე როგორც მთელი მრავალეროვნული საბჭოთა კულტურისათვის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა ამასწინანდელ შეხვედრებს შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, ეს შეხვედრები იყო ლენინური პარტიულობის დიდი სკოლა, ახალი მძლავრი ბიძგი ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი იდეური აღმავლობისათვის. ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებაში არა აქვს და არც ექნება ადგილი ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებებს. აზერბაიჯანის ლიტერატურა და ხელოვნება ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდა და კვლავაც მოემსახურება ხალხის ინტერესებს, კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებს.

საბჭოთა აზერბაიჯანის წარმატებანი მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში თავისთავად რომდი მოვიდა. ეს წარმატებანი ჩვენი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის თავდადებული შრომის შედეგია, რომლებიც მთელ თავიანთ ძალასა და ენერგიას ახმარენ კომუნისტური მომავლის მშენებლობას.

ჩვენი რესპუბლიკის 43-ე წლისთავს საბჭოთა აზერბაიჯანის მშრომელები აღნიშნავენ იმ დღეებში, როცა გაჩაღებული აქვთ მუშობა პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, დაძაბული ბრძოლა შვიდწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

წარმატებით დაამთავრა გასული წელი რესპუბლიკის მრეწველობამ, რომელმაც გადაჭარბებით შეასრულა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმაც. შვიდწლედის ვარაუდების გასწრებით იზრდება ნავთობის მოპოვება, მუშობის ტემპს ზრდიან მშენებლები. სოფლის მშრომელები გულდასმით და ყოველმხრივ მოემზადნენ გაზაფხულისათვის და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაძლიონ წელს ჩამორჩენა მებამბეობასა და მეცხოველეობაში, რაც წლობით გრძელდება. მტკიცედ განვავითაროთ ჩვენი სოფლის მეურნეობის ყველა დარგი.

იმ ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დგას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის მიერ განხორციელებულ პარტიული ორგანიზაციების გარდაქმნას საწარმოო პრინციპით, იმ ღონისძიებებს, რომლებიც მან განახორციელა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფისათვის. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ეს კეთილ გავლენას მოახდენს როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე მთელი საბჭოთა ხალხის დიადი ლენინური მეგობრობის, მათი სოლიდარობისა და ერთიანობის დღესასწაულია. აზერბაიჯანელი ხალხის მეგობრობა მთელი ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ხალხებთან, ჩვენს მეგობრებთან და ძმებთან — ქართველ და სომეხ ხალხებთან იმის შესანიშნავი მაგალითია, თუ როგორ ხორციელდება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მაღალი იდეები. ეს მეგობრობა ასახვას პოულობს ეკონომიკისა და კულტურის ყველა სფეროში, იგი გვიხმარება მოვახდენოთ ჩვენი მეცადინეობის კოორდინაცია, უფრო უკეთ გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა საერთო დიადი მიზნის მისაღწევად.

კომუნისტური პარტიის ძმური ხელმძღვანელობით საბჭოთა აზერბაიჯანმა ბრძოლისა და გამარჯვების სახელოვანი გზა განვლო. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც მტკიცედ არიან შეკავშირებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რაც წლობით ადრე ამ ულოყოდ ნაცადი ლენინელი ნ. ს. ხრუშჩოვი, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი სახელოვნად შეასრულონ მათ წინაშე მდგარი ამოცანები, თავდადებული შრომით მოიპოვონ ახალი წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობაში.

* * *

ბაკო. საბირის სახელობის სკვერი და ნიზამის მოედანი.

ფოტო ნ. იგნატიევისა.
(საკლესის ფოტოქრონიკა).



მეგობრულ ვითარებაში

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საგარეო ვაჭრობის მუდმივი კომისიის სხდომა

მიმდინარე წლის 23-25 აპრილს მოსკოვში გაიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საგარეო ვაჭრობის მუდმივი კომისიის სხდომა. სხდომაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოს წევრი ქვეყნების — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციებმა.

სხდომას მეთვალყურეებად ესწრებიან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები.

კომისიამ შეაჯამა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ურთიერთვაჭრობის 1962 წლის შედეგები და განიხილა იმ მუშაობის შედეგები, რომელიც განხორციელდა, რათა დადებულიყო ოქმები ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ 1963 წელს.

კომისიამ განიხილა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის განვითარებასთან დაკავშირებული მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები, დასახა ღონისძიებანი, რათა მომზადდეს შეთანხმების დადება 1964 წლის საქონლბრუნვის შესახებ.

კომისიის სხდომა მიმდინარეობდა მეგობრული და ძმური თანამშრომლობა-ურთიერთგაგების ყველა მონაწილის სრული ურთიერთგაგების პირობებში.

370 დღე მოდრეიფე ყინულზე

არქტიკიდან დაბრუნდნენ „ჩრდილოეთი პოლუსი-11“ სადგურის პოლარელები

ლენინგრადი, 26 აპრილი. (საკ-დესის კორ.). დღეს არქტიკიდან ჩამოვიდა პოლარული აეროპლანი თვითმფრინავი, რომელმაც ლენინგრადში ჩამოიყვანა მოდრეიფე სამეცნიერო სადგურის „ჩრდილოეთი პოლუსი-11“-ის კოლექტივი.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში „ჩრდილოეთი პოლუსი-11“ სადგურის უფროსმა ნ. ნ. ბრიაზგინმა განაცხადა:

— ერთი წლის წინათ თვითმფრინავმა ჩვენ, 12 მოზამთრე, ჩაგვიყვანა მოდრეიფე ყინულზე ვრანგელის კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 800 კილომეტრზე ნაპირიდან. 370 დღის დრეიფის განმავლობაში ჩვენ გავიარეთ დაახლოებით ორი ათასი კილომეტრი.

შეგასრულეთ კომპლექსური კვლევის პროგრამა მეტეოროლოგიის, ჰიდროლოგიის, აეროლოგიის, იონოსფეროს, მაგნიტური ველის შესწავლის დარგში

ერთხელ დეკემბერში ბნელი პოლარული ღამით, „ჩრდილოეთი პოლუსი-11“ სადგურის მთელი ბანაკი უეცრად გაანათა თეთრმა შუქმა. ეს იყო უჩვეულო პოლარული ციალი, რომელიც მთელ ცის კამარას მოედო. ასეთი მოვლენა ჩვენ, პოლარელებმა, რომლებსაც ბევრჯერ გამოგვიზამთრებია არქტიკაში, პირველად ვნახეთ.

ლენინგრადში ჩამოვიტანეთ მეცნიერული კვლევის ვრცელი მასალა. მის დამუშავებას უახლოეს ხანში შევუდგებით.

საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
დედაქალაქის საქალაქო კომიტეტი
საბჭოთა მეცნიერების აკადემია, ეკონომიკის ინსტიტუტი

დიდმნიშვნელოვანი სიტყვა

პარიზი, 26 აპრილი. (საკდესი). ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა რუსეთის სფსრ მრეწველობისა და მშენებლობის მუშაკთა თათბირზე საფრანგეთის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ყურადღების ცენტრშია. ამ სიტყვის შესახებ ცნობით დაიწყო თავისი დღევანდელი გადაცემები ტელევიზიამ, რომელმაც უჩვენა საბჭოთა მთავრობის მეთაურის პორტრეტი და გამოაქვეყნა პირველი კომენტარები: „დიდმნიშვნელოვანი სიტყვა, მთელი რიგი საინტერესო დებულებანი, ხრუშჩოვი ხაზს უსვამს, რომ შეუძლებელია თანაარსებობა იდეოლოგიურ დარგში“. რადიო იუწყება ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის შესახებ. მოკლედ გადასცემს მისი სიტყვის შინაარსს, ხოლო კომენტატორები უცვლელად აღნიშნავენ ამ სიტყვის „დიდმნიშვნელოვან ხასიათს ახლანდელ პირობებში“.

პირველ გვერდზე და დიდი სათაურით დაბეჭდეს ცნობები ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შესახებ პარიზის საღამოს გაზეთებმა. გავლენიანმა გაზეთმა „მონდმა“ გამოაქვეყნა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შინაარსი.

როგორც უყვლაზე მნიშვნელოვანი ახალი ამბავი თვალსაჩინო ადგილას დაბეჭდა ცნობა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შესახებ კათოლიკურმა გაზეთმა „კრუამ“.

ადენაუერი იძლევა რჩევას

ბონი, 27 აპრილი (საკდესი). ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ფედერალურმა გამგეობამ მოიწონა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის პარლამენტო ფრაქციის გადაწყვეტილება დანიშნოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეურნეობის მინისტრი ერჰარდი ადენაუერის მემკვიდრედ კანცლერის პოსტზე. გამგეობამ დაავალა ერჰარდს „განაგრძოს კონრად ადენაუერის საქმე“.

სხდომაზე გამოვიდა ადენაუერი, რომელმაც კვლავ, ისევე როგორც წინა დღეებში, გამოთქვა თავისი შენიშვნები ერჰარდის კანდიდატურის შესახებ, მაგრამ აღუთქვა მას თავისი „ლოიალობა“ და „მხარდაჭერა“. ცდილობს რა უზრუნველყოს თავისთვის მომავალში გავლენა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკაზე, ადენაუერმა მოითხოვა შექმნან საკონსულტაციო პოლიტიკური ორგანო, რომელიც „მხარს დაუჭერს მთავრობის მეთაურს“, ესე იგი ერჰარდს.

ამერიკაში გაუშვეს დედამიწის თანამგზავრი

ნიუ-იორკი, 27 აპრილი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებმა გამოაცხადეს, რომ გუშინ პოინტ-არგუელოს წყნარ ოკეანის სარაკეტო ბაზიდან (კალიფორნიის შტატი) გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი.

მოკლე ცნობაში ამის შესახებ, აღნიშნავს იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო, არაფერი არ არის ნათქვამი თანამგზავრის ხასიათზე, მის დანიშნულებაზე და იმაზე, წარმატებით იყო თუ არა გაშვება.

ინტერვიუში, რომელიც გუშინ დასავლეთ გერმანიის ტელევიზიამ გადასცა, ადენაუერმა არ დააყოვნა და რჩევა-დარიგება მისცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მომავალ კანცლერს. ადენაუერმა დაბეჯითებით ურჩია ერჰარდს „განაგრძოს პოლიტიკა, რომელიც დღემდე ხორციელდებოდა“. უმნიშვნელოვანეს ამოცანად უახლოეს პერიოდისათვის ბონის კანცლერმა მიიჩნია საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულების რატიფიკაცია, რომელიც მან და დე გოლმა დადეს.

კუბის რევოლუციური მთავრობა ეფექტურ ზომებს იღებს იმისათვის, რომ ბოლო მოუღოს პოლიომიელიტით დაავადებას კუნძულზე. ამას წინათ ჰავანაში ჩაიტანეს დიდი პარტია პოლიომიელიტის საწინააღმდეგო საბჭოთა ვაქცინისა, რომელიც საუკეთესო და საიმედო საშუალებაა ამ მძიმე დაავადებისაგან ბავშვების დასაცავად.

რესპუბლიკაში ხორციელდება 2 თვიდან 14 წლამდე ასაკის ყველა კუბელი ბავშვის ვაქცინაცია.

მრავალი ათასი კუბელი დედა ღრმა მადლობის გრძნობით იღებს საბჭოთა მეგობრებისა ძმურ უანგარო დახმარებას.

სურათზე: ვაქცინაციის ერთ-ერთ პუნქტზე ჰავანაში.

ფოტო პრენსა ლატინა-საკდესისა.

თერმოატომური რეაქციის დამორჩილების გზაზე

პარიზი, 26 აპრილი. (საკდესი). საბჭოთა მეცნიერების წარმატება, რომლებმაც მიიღეს მნიშვნელოვანი სიმკვრივის მდგრადი მაღალი ტემპერატურის პლაზმა, აახლოებს დროს, როცა ადამიანი შეძლებს დაიმორჩილოს კოლოსალური ენერგია, რომელიც წამის რაღაც ნაწილში გამოიყოფა თერმოატომური რეაქციის დროს, წერს საფრანგეთის გაზეთი „ორორი“.

საბჭოთა ექსპერიმენტი, ხაზს უსვამს გაზეთი, მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირში მაღალ დონეს მიაღწია მეცნიერულმა მუშაობამ.

პროვოკაციები გრძელდება

ჯაფი, 26 აპრილი (საკდესი). როგორც კი გავმგზავრა სურების ხეობიდან პრემიერ-მინისტრი ჯონსი სუვანა ფუმა, ნოსავანელთა ჯარების სამმა ბატალიონმა ამერიკელ ოფიცრების მეთაურობით ნეიტრალისტურ ჯარების რეაქციულ ელემენტებთან თანამოქმედებით იერიში მიიტანეს ქალაქ სიემგ-კუანგზე. როგორც „პატეტ-ლაოს“ რადიო იუწყება, ნეიტრალისტურმა ჯარებმა მაიორ თხიების სარდლობით შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს და მძიმე ზარალი მიაყენეს რეაქციონერებს. ქალაქის რაიონში ბრძოლები გრძელდება.

ძალის დემონსტრაცია

ნიუ-იორკი, 27 აპრილი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება: გუშინ ტაილანდის თავდაცვის მინისტრმა გენერალმა კიტიკაჩორნმა განაცხადა, რომ ამერიკის მე-7 ფლოტის ხომალდები დადიან სამხრეთ ვიეტნამის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ და „მზად არიან შესაძლო მოქმედებისათვის ლაოსის კრიზისთან დაკავშირებით“.

კიტიკაჩორნმა გამოაცხადა აგრეთვე, რომ შესაძლოა უფრო ადრე მოაწყონ სეატოს სამხედრო მანევრები, რომელიც დანიშნული იყო 11 მაისისათვის და რომელიც, როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს, ლაოსის მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა იყოს „დასავლეთის ძალის დემონსტრაცია“.

ეგებებიან პირველ მაისს

ბერლინი, 26 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი გ. სელივერსტოვი იუწყება: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები ახალი საწარმოო წარმატებებით ეგებებიან პირველ მაისს. ამ დღეებში რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან მოდის პატარაკები საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულების შესახებ. კისრულობენ გალდებულებებს, რომ გაადიდებენ პროდუქციის გამოშვებას და გაუმჯობესებენ მის ხარისხს, აამაღლებენ შრომის ნაყოფიერებას, დაეუფლებიან მუშაობის ახალ მეთოდებს.

ანზენხიუტენშტადტის კომბინატ „ოსტის“ კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა აპრილის საწარმოო გეგმა, პროგრამის გადამეტებით გამოადნო 5 ათას ტონამდე თუჯი. ყოველდღიურად გადაჭარბებით ასრულებენ გეგმას ბრანდებურგის სატრაქტორო ქარხნის მუშები. ნავსაშენ „ნეპტუნის“ გემთმშენებლებმა დაამთავრეს დიდი გემი-ბორანის მშენებლობა რკინიგზის მატარებლებისათვის. ეს გემი ივლის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დანის ნავსადგურებს შორის.

საპირველმისო შეჯიბრებში მოპოვებულ წარმატებებს იუწყებიან რიზის მეფოლადეები, კალიუმის საწარმოო კომბინატ „ვერას“ მაღაროელები, რესპუბლიკის მოწინავე საწარმოს ზომერდის საკანცელარიო მანქანებისა და ავტომატების ქარხნის კოლექტივი, ბერლინის ქარხნების მუშები.

ამ დღეებში მთელ რესპუბლიკაში განიხილავენ 1964 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტს. მუშებს ბევრი საყურადღებო წინადადება შეაქვთ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, რათა გადიდდეს სამრეწველო წარმოება და გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი.

გაჩაღდა საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივებმა და სახალხო მამულებმა დაამთავრეს მარცვლეულის თესვა, ახლა თესავენ კარტოფილს, ჭარხალს. მიმდინარეობს აქტიური მზადება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბერძოლას. პირველობის მთავარი პრეტენდენტია თბილისის „დინამოს“ გუნდი. პირველ მატჩში დინამოელებმა დამარცხეს „განთიადის“ გუნდი ანგარიშით 9:3, გუშინ კი „ბურევესტნიკი“ 7:1. მატჩი „განთიადისა“ და „ლოკომოტივის“ წყალბურთელთა კოლექტივებს შორის დამთავრდა პირველის გამარჯვებით 3:2.

კალათბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის პირველობის საკითხს ფაქტიურად „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ მატჩი წყვეტდა. ეს შეჯიბრება დინამოელებმა მოიგეს ანგარიშით 71:66.

ფარიკაობაში სამი დღის ბრძოლის შემდეგ გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს სპარტაკელებმა, კრივში ჩემპიონი გახდა „განთიადის“ გუნდი.

სპარტაკიადის დღეები

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სასპორტო ბაზებზე უძლიერესთა სპორტული პაექრობა არ ცხრება, მიმდინარეობს საქალაქო სპარტაკიადა, რომლის შედეგები მთელ რიგ სახეობაში მაღალია.

განსვლიმა შეხვედრებმა გამოავლინა თბილისის სპარტაკიადის არაერთი ჩემპიონი. ესენი ის სპორტსმენები არიან, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკურ სპარტაკიადაში, ამასთანავე შეაყვანილი იქნებიან საქართველოს ნაკრებ გუნდში.

მაგიდის ჩოგბურთელებმა ბრძოლა დაამთავრეს. როგორც მოსალოდნელი იყო, აქ პირველი ადგილი დაიკავა „სპარტაკის“ ძლიერმა კოლექტივმა. პირად ჩათვლაში უძლიერესები იყვნენ: ვაჟთა ერთეულებში — ა. არუთინოვი, ქალთა შორის — ბ. პერელმანი. წყვილთა ასპარეზობაში ქალთა შორის გაიმარჯვეს ა. სუჯაშვილმა და რ. მკრტიჩიანმა, ვაჟთა შორის — ნ. ჯაფარიძემ და ა. არუთინოვმა.

დასასრულს უახლოვდება ჰოკეიკაკეთა შეჯიბრება. ეკანასკნელი ტურის წინ ლიდერი იყო „სპარტაკის“ კუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან ბ. გურგენიძე, ა. ბუსლაევი და სხვ. სპარტაკელებს 14,5 ქულა და 3 გადადებული პარტია აქვთ. „დინამო“, „ბურევესტნიკი“ და „განთიადი“ ლიდერს თითო ქულით ჩამორჩებიან.

ფიზკულტურის პარკის საცურაო აუზში წყალბურთელები განაგრძობენ ბრძოლას. პირველობის მთავარი პრეტენდენტია თბილისის „დინამოს“ გუნდი. პირველ მატჩში დინამოელებმა დამარცხეს „განთიადის“ გუნდი ანგარიშით 9:3, გუშინ კი „ბურევესტნიკი“ 7:1. მატჩი „განთიადისა“ და „ლოკომოტივის“ წყალბურთელთა კოლექტივებს შორის დამთავრდა პირველის გამარჯვებით 3:2.

კალათბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის პირველობის საკითხს ფაქტიურად „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ მატჩი წყვეტდა. ეს შეჯიბრება დინამოელებმა მოიგეს ანგარიშით 71:66.

ფარიკაობაში სამი დღის ბრძოლის შემდეგ გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს სპარტაკელებმა, კრივში ჩემპიონი გახდა „განთიადის“ გუნდი.

პარტია არ შემდგარა

მსოფლიოს პირველობაზე მ. ბოტვინიკისა და ტ. პეტროსიანის მატჩის მეთხუთმეტე პარტია 27 აპრილს უნდა გათამაშებულიყო, მაგრამ ტ. პეტროსიანის ავადმყოფობის გამო იგი არ შემდგარა. პარტიის გათამაშება ნავარაუდევია 29 აპრილისათვის. მატჩის დამთავრებამდე 10 პარტია დარჩა, ჯერჯერობით ანგარიში თანაბარია — 7:7. მეთხუთმეტე პარტიაში ტ. პეტროსიანი თეთრებით ითამაშებს.

მწვრთნელთა საგეგმო

სსრ კავშირის ნაკრებთა უკეთ მომზადებისა და ამ გუნდების მსოფლიო ჩემპიონატში, ოლიმპიურ ასპარეზობაში, ევროპის თასის გათამაშებაში, სხვადასხვა ტურნირებსა და საერთაშორისო შეხვედრებში წარმატებით გამოსვლისათვის, ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმთან შეიქმნა მწვრთნელთა საბჭო 24 კაცის შემადგენლობით.

მათ შორის არიან ბ. არკადიევი, ნ. გულიაევი, გ. კაჩალინი, ნ. სიმონიანი, მ. იაკუშინი და სხვ. მწვრთნელთა საბჭოს მოვალეობაში შედის ნაკრებთა დაკომპლექტება, ამ გუნდების თამაშის ანალიზი, მოწინავე მწვრთნელთა გამოცდილების დანერგვა, ნაკრების წევრთა ერთი კლუბიდან მეორეში გადასვლისა და სხვა საკითხები.

„ლოკომოტივის“ პირველი გამარჯვება

გუშინ მოსკოვში გაიმართა საკავშირო რემპიონატის მეექვსე ტურის უკანასკნელი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ დედაქალაქის „ლოკომოტივისა“ და ტაშკენტის „პახტაკორის“ გუნდები. შეხვედრის შედეგია 2:0 ლოკომოტიველთა სასარგებლოდ.

მატჩები და შედეგები

გუშინ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში შედგა „ა“ კლასის მეორე ქვეჯგუფის გუნდების მორიგი შეხვედრები ფეხბურთში. აი მათი შედეგები:

„ჩერნომორეცი“ (ოდესა)-„ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 2:0, „ალგა“ (ფრუნზე)-ნოგოსიბირსკის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი 1:0, „კარპატი“ (ლვოვი)-„ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) 0:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) - „ელექტრონსი“ (ვილნიუსი) 0:0, „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) - „დაუგავა“ (რიგა) 1:1, „ტრუდი“ (ვორონეჟი) - „შრომითი რეზერვები“ (ლუგანსკი) 1:1, „ყუბანი“ (კრასნოდარი) - „ლოკომოტივი“ (ბოლი) 7:0, „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) - „ვოლგა“ (გორკი) 0:1.

„საქართველოს კომუნისტი“ № 4

გამოვიდა ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ მე-4 ნომერი. ჟურნალში დაბეჭდილია — „**ლენინიზმი ჩვენი ეპოქის ძლევამოსილი დროშაა**“ (მოწინავე), **შ. ბიწაძის** — „ვ. ი. ლენინის უკვდავი ნაწარმოები“ („მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილის“ გამოქვეყნების 50 წლისთავის გამო), **მ. ჯინჭველაშვილის** — „ვ. ი. ლენინი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ“, **რ. წულუკიძის** — „ეკონომიური კანონების მოქმედება სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პერიოდში“, **დ. ენუკიძის** — „პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნა მასებს“. ნომერში არის განსოფილებები „საერთაშორისო თემაზე“, „სამრეწველო საწარმოთა ეკონომიკის შემსწავლელი წრეების და სემინარების მსმენელთა დასახმარებლად“, „კონსულტაცია“, „პარტიული ცხოვრება“, „წერილები და კორესპონდენციები“, „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია“.

„კომუნისტის“ დღევანდელი ნომერი 6-გვერდიანია.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

მსოფლიო ჩემპიონატის წინ

10 მაისს ბრაზილიაში დაიწყება მსოფლიოს პირველობის გათამაშება კალათბურთში, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის კალათბურთელები. გუშინ რიო-დე-ჟანეიროდან მიღებული ცნობით სსრ კავშირის გუნდი მოხვდა იმ ქვეჯგუფში, სადაც გამოდიან საფრანგეთის, კანადისა და ურუგვაის გუნდები. ქვეჯგუფებში გამარჯვებულებისაგან (ორ-ორი) შეიქმნება ფინალური ჯგუფი.

ამ ნომერში

28 აპრილი

კინო — რუსთაველის სახელობის, ამირანი, კოლხიდა, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, კოსმოსი — საღამოს წვეულება, ოქტომბერი, კომკავშირელი, საქართველო (მწვანე დარბაზი) — სიკვდილი შაქრის ლერწმის კუნძულზე, ისანი, სპარტაკი, ბლეხანოვის სახელობის კლუბი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — პირადი პირველობა, თბილისი — კაცი მატარებლიდან, საქართველო (წითელი დარბაზი) — მკვლელობა დანტეს ქუჩაზე, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი)—ორი ბატონი „№“, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — შვიდი ძიძა, გორკის სახელობის კულტურის სახლი — მშვიდობა ახალმოსულს, ოფიცერთა სახლი — შავი პრინი, კოლმეურნე — ჯარისკაცის გული, დიდუბე, თანამგზავრი, ნაკადული — განხეთქილების ვაშლი, ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — ბაშიაჩუკი, კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი — არმაგედონი, გაზაფხული — მესამე ტაიმი.

თეატრები

28 აპრილი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის—ტოსკა (მე-8 აბონ. მე-8 სპექტაკლი), რუსთაველის სახელობის — თანამედროვე ტრაგედია (მე-10 აბონ. მე-6 სპექტაკლი), მარჯანიშვილის სახელობის — ბუღარა (მე-10 აბონ. მე-5 სპექტაკლი), ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის (რკინიგზელთა სახლში) — ჩანტას კოცნა, სანაულტურის — პროკურორ მაიორის საქმე (მე-7 აბონ. 1-ლი სპექტაკლი), მოზარდ მაყურებელთა ქართული — გლახის წამებაზე (აბონ. № 11, 6 ს.), თოჯინების ქართული — ქალპეპელა (11 ს.), ფიფქიას სკოლა (2 ს.), ფილარმონიის საზაფხულო — სიმ